ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანად!..
ი. ფ.

№ IX

წელიწადი მეშვიდე

ტფილისი
სტამბა მ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.
1896.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 27-го Сентября 1896 года.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგლას ფისუა.

ატარა გიგლა, შაგ-თვალა,
მეტათ ცელქია, ცქრიალა,
მთელი დღე დასტის, კუნტრუშებს,
ტრიალებს, როგორც ბზრიალა.
ჯერ ანა-ბანას კითხულობს,
რა ქნას: ჰატარა ბიჭია;
მაგრამ ახლავე ეტუობა
სწავლის სურვილი, ნიჭია.
და-ძმა არა ჰყავს, მაგრამ ის
არ არის მოწყენილია,
და-ძმობას უწევს გიგლასა
ფისო, კუდ-მოგრეხილია.
ჯერ კნუტი არის ფისუა,
ვეფხვივით მარდი, ჯრელია,
გიგლას არავინ არა ჰყავს
მასავით საყვარელია.
როდესაც გიგლა წყნარათ ზის,
კითხულობს ანა-ბანასა,
ფისოც იქვე ეუნტს, კრუტუნებს,
თითქო მღერისო ნანასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთხელ, გიგლა და ციცუა
ლოგინზე იწვენ თბილათა,
ფისოს გულ-და-გულ ეძინა,
გიგლაც ხვრინავდა ტკბილათა.
გვერდი იბრუნა მძინარემ,
თათი ატკინა ციცასა,
ფისო გაიწარდა, შეჭკივლა
ცხვირზე უკბინა გიგლასა.
გიგლამ რა იგრძნო ტკივილი,
წამოხტა გაიწარებული
ფისომ კი თავსა უშველა,

გაიქცა შეშინებული.
იფიქრა: დავიმალები,
თვარა მომხვდება წკეპლაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭერში ავმვრები და გიგლას
ტუვილათ ჩაუვლის მებნაო.
და, მართლაც, ფისომ თავანზე
მონახა ბნელი კუნჭული
იქ მიიკრუნჩხა მთელ დღესა,
საშინლათ აღელვებული.
მაგრამ ვერ გასძლო უგიგლოთ,
მბრს ჩამოვიდა მალვითა
მიუკრუტუნა მეგობარს
შემცოდემ, დიდის კრძალვითა
და გიგლამ თავის ფისუას
შეუნდო ყველაფერია,
შეეცოდა და, დარცხვენილს,
თავზე გადუსვა ხელია,
მასაქეთ ერთათ არიან
ცელქობენ მეგობრულათა
არას აწყენენ ერთმანერთს,
დასტიან მხიარულათა.

ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანგი და თეთრი.

(ფრანგულიდან ნათარგმნი)

I.

ჩრდილოეთ აფრიკაში არის ერთი ქვეყანა, რომელსაც ჰქვია ალჟირი, ეს ქვეყანა ექვემდებარება საფრანგეთს და თავისი შვენიერი ბუნებით შესანიშნავია. ალჟირში ერთ ადგილას არის თვალ-გაუწვდენელი ღელეები და მოფენილია ერთგვარი მუხის ტყით, რომლის მჩატე ქერქიდან აკეთებენ ბოთლების დასაცობს—პრობკებს.

კათათვის ერთ დღეს საშინელი სიცხე იდგა, მაგრამ როგორც ხშირათ იცის აქეთ მხარეს, ამ დღეს ღამე გრილი დადგა. ბზას და ბანანს ბლომათ ცვარი ედო და როგორც ალმასები ბრჭყვინავდა მთვარეზე.

დაბნელებულ ბურუსში გაურკვევლათ იხატებოდა სალაფის (ზეთის ხილის) პატარა ხეები ისეთივე მწვანე, როგორც თითონ მისიანი ფოთლები. სხვა-და-სხვა სუნელოვან ხეების სუნი ათრობდა კაცს.

ერთბაშათ მოისმა ხმაურობა, მწუხარე და გაურკვეველი ყვირილი და ამან დაარღვია ღამის მყუდროება.

— გასწი, შე სასიკვდილოვ! ყვიროდა ვილაც.

— ალარ შემიძლია სიარული,—უპასუხა მეორემ კვნესით.

— უნდა უსათუოთ წახვიდე.

— ფეხები დასისხლიანებული მაქვს.

— ნუ მიჰქარავ ბევრს! არა გიშავს-რა, დაუყვირა ისევ პირველმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხვალ დილით უსათუოთ ტყეში უნდა ვიყო, მიეუსწრო მუშაობას. ვერ მოვცდები... აბა, ნუ წახვალ და მერე მე ვიცი...

მთვარემ გაანათა მოლაპარაკენი. ერთი იყო ზანგი დედაკაცი, პირქუში, ბოროტი შეხედულობისა; სახე დანაოჭებული, გამხმარი და მზისაგან დამწვარი ჰქონდა, ამ დედაკაცის მსხვერპლი, რომელსაც ცემას უპირებდა იყო ათი წლის ზანგის პატარა ქალი.

ყმაწვილის სახეზე გამოიხატებოდა შიში და ნაღველი. თავისი გამხდარი ხელებით იფარებდა პირის-სახეს ცემისაგან.

— ნუ მცემ, გამიკითხე, კვნესით ამბობდა ყმაწვილი.

— მაშ ნუ გაჩერებულხარ, გასწი!

— თუ კი არ შემიძლია.

— მოჰკიდე ხელი ურემს, შე ზარმაცო!

გაისმა ჰაერში ტკაცუნი და წკეპლა მძიმეთ დაეშვა საბრალო ყმაწვილის ზურგზე. ბავშმა ვერ გაუძლო დარტყმეას და ერთი საშინლათ დაიყვირა. ერთბაშათ მოისმა ღრენა. დიდი ძაღლი, რომელიც იწვა ამათ პატარა ურემთან, ადგა ორ-ფეხზე და მოხუცებულ ზანგის დედაკაცს კბილები მუქარით დაულრინა. დედაკაცმა ეს არაფრათ ჩააგდო, ეტყობოდა დაჩვეული იყო, მერე ამას მიუბრუნა წკეპლა, რომლითაც სცემდა ყმაწვილს და დაუყვირა:

— კარგი, კანადი, გეყოფა, თორემ შენც მოგხვდება. მერე განაგრძო;—აბა, დასძარ ურემი?

ამ პატარა ურემში მოთავსებული იყო მთელი ამათი საცხოვრებელი; სიმინდის ფქვილი და წყალიც კი თან დაჰქონდათ, რადგან შესაძლო იყო ისეთ გაუვლელ ტყეში მოჰყოლოდენ, რომ ვერც წყალი და ვერც საჭმელი რამე ეშოვათ. ურემი გადახურული ჰქონდათ რომ მზეში და წვიმაში თავი შეეფარებინათ.

გათენებისას ესენი უნდა მისულიყვენ მეჯანის მამულში, სადაც უნდოდათ სამუშაოს შოვნა. ზანგის დედაკაცს ეჩქარებოდა, რადგან ეშინოდა ვაი თუ საქმე ვერ ვიშოვოო. დიდი და პატარა ყველა მიაწყდებოდა ხოლმე ამ მამულში სამუშაოს, დიდ-ძალ მუშას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახვევდენ ხოლმე მუხის ქერქის მოგროვების დროს. მერე ამ მჩატე ქერქს გზავნიდენ საფრანგეთში—ქალაქ მარსელში და აქ აკეთებდენ ბოთლების დასაცობათ—პრობკებს.

ზანგის დედაკაცმა ხელმეორეთ, შეუბრალებლათ დაუყვირა პატარა ქალს—მიენას:

— დასძარ ახლავე ურემი!

ამ ბძანებაზე მიენამ გადიგდო კისერზე უღელი და შეება ურემში; მეორე მხრივ ამოუდგა გვერდით კანადი და ალერსით დაუწყო პატარა ქალის ხელებს ლოკვა. მოხუცებული ბუზღუნით სცემდა ძაღლს უწყალოთ გვერდებში, უფრო ეს ძაღლი მიათრევდა ამ უცნაურ ურემს.

კანადი მარჯვე და კაი ძაღლი იყო: თავი და კბილები მგელს მიუგავდა, ბალანი მწყემსის ძაღლს და პრტყელი, განიერი თათები სენ-ბერნადის ძაღლს. მისი ბაცი მწვანე თვალები, როდესაც დამშვიდებული იყო გამოხატავდა უზომო გულ-კეთილობას და ძალიან მიაგავდა ადამიანის თვალებს... მაგრამ თუ საშიშ რამეს ნახავდა და დაცვა დასჭირდებოდა, შენ მტერს რაც ის გახდებოდა. მაშინ არა მხეცი იმას ვერ შეედრებოდა: ყურებს აცქვეტდა, ბალანი აუდგებოდა და კუდს გვერდში ირტყავდა. მიენა საშინლათ უყვარდა და მის ბძანებას თვალის დახამხამებამდის ასრულებდა. მისი გამომსარჩლებელი და მფარველი იყო, ხშირათ თავისი რბილი ბალანით გადურჩენია მიენა სასტიკ ზამთრისაგან.

მოხუცებული ზანგის დედაკაცი ხშირათ იცვლიდა ადგილებს, რომ სამუშავო უფრო ადვილათ ეშოვა. ყოველთვის მიენას და კანადის დაჰქონდათ იმისი პატარა ურემი. როდესაც ჭკვიანი ძაღლი შეამჩნევდა, რომ მიენა დაიღალა და ველარ ატარებს ურემს, მაშინვე თითონაც ნაბიჯს მოუკლებდა და ზოგჯერ სულაც არ დაიძროდა, რაც უნდა ეცემა ბრაზ-მორეულ დედაკაცს, მაშინ მეტი გზა არ იყო, ერთი საათით მაინც უნდა შეეჩერებინათ ურმის ტარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საღამოსაც ეს დღე დაადგა ურემს, ის აღარ იძროდა.

— რა ამბავია, ყვიროდა გაალმასებული დედაკაცი, — არ დასძრამთ ამ ურემს? და გაუხშირა შოლტის ქნევა.

— მომკალ თუ გინდა, უთხრა კვნესით მიენამ, მე მაინც ვეღარ შევიძლებ ფეხის გადადგმას.

ზანგის დედაკაცმა რაკი ნახა, რომ ვერას გააწყობდა, შოლტს თავი დაანება, გამოუშვა უღლიდან მიენა და მუქარით დაუყვირა:

— დამაცა, ჯერ მივიდე ბინაზე, გაჩვენებ სეირს.

ღონე-მიხდილმა, სასოგაწყვეტილმა მიენამ ხმა არ გასცა.

მერე ზანგის დედაკაცი თითონ შეება ურემში და ორი საათის სიარულის შემდეგ სულ ღამე იყო, რომ მივიდა იმ ტყის ნაპირას, სადაც ეგულებოდა სამუშაო.

II

ტყეში დილა ადრიან გაჩქარებული მუშაობა იყო. მეჯანას მამულის პატრონი და მარსელიდან მოსული მექარხნე, ფილიდორ, თავს ადგენ მუშებს, დიდ ძალი მუშა რკინის პატარა ნაჯახებით აცლიდა ბუხას რბილ ქერქს. ერთბაშათ ერთმა პატარა ზანგმა დაანება მუშაობას თავი და აიხედა მაღლა ცისკენ.

— დაღალე კიდეც? ჰკითხა ფილიდორმა.

— არა, ბატონო!

— მაშ რას შესცქერიხარ, ჰკითხა მემამულემ.

— აი, იმ შავ ფრინველს ვუყურებ, ბატონო, საძაგელი, ბოროტი რამ არის!

— ფასკუნჯი ყოფილა, უსათუოთ ლეში იქნება აქ სადმე ახლო, ან ირმისა და ან ჯეირნისა, თქვეს ერთხმათ ყველამ.

ცოტ-ცოტა, შავი წერტილი გარდაიქცა დიდ ფრინველათ და დაეშვა მახლობელ ტყეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამითი არ გათავდა საქმე, ხელ მეორეთ შეჩერდა მუშაობა, რადგან მოისმა ძაღლის უცნაური ღმუილი.

—ალბათ რამე უბედურება ხდება იქით მხარეს, თქვა ფილიდორმა.

ხელ მეორეთ მოისმა ღმუილი, მერე შემაძრწუნებელი ყეფა.

—წავიდეთ, ვნახოთ რა ამბავია!

ერთიანათ ყველანი წავიდენ იქით მხარეს, საიდანაც მოისმოდა ძაღლის ღმუილი და ყეფა.

საზარელი სანახავი დაუხვდათ თვალ-წინ

ერთ შვენიერ მუხის ძირას ზანგი დედაკაცის გვამი იყო გაშხლართული, ყელზე უჩანდა ვეება წყლული, ზემოდან გვამზე იწვა ძაღლი. ცხარე მზისაგან დედაკაცის გვამი კიდეც გალურჯებულიყო. ცოტა მოშორებით მუხის ტოტებ შორის იდგა მიენა და კანკალებდა.

ხალხი მიუახლოვდა თუ არ, ფასკუნჯი ერთი დიდი ხმაურობით აფრინდა.

—ამას რას ვხედავთ, დაიყვირა მექარხნე ფილიდორმა და დაუქნია ხელი მიენას.—ნუ გეშინია, პატარავ, არ შეგჭამთ, მოდი აქ.

მიენამ თითქოს რჩევას ჰკითხავდა შეხედა ძაღლს, რომელიც ახლა მის გვერდით იდგა და უპირებდა მფარველობის გაწევას. ძაღლი კუდის ქნევით მიუახლოვდა ფილიდორს, მიენასაც უნდოდა ახლო მისვლა, მაგრამ როდესაც ფილიდორემ გადაადგა მისკენ ორიოდ ნაბიჯი, ყმაწვილს ძალიან შეეშინდა და დაიყვირა:

—ნუ მცემ, ნუ მცემ!

—რას ამბობ, ბავშო, მე უნდა გცემო! გაკვირვებით ჰკითხა ფილიდორმა და გაიცინა,—მოსვი ორიოთ წვეთი, ყველას ეს ეჯობინება. და მიაწოდა სასმელი, ეს იყო შავი ყავა და რომი ერთათ არეული.

—ოჰ! რა მადლობელი ვარ! თქვა ღიმილით მიენამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ეტყობა კაი გულისა ყოფილა ეს გოგონა, წამოიძახა ფილიდორმა.

—აგრეც ნუ ენდობი ზანგებს, ხშირათ ვერაგები არიან. უთხრა მემამულემ.

—მე მაგათ ვიცნობ, მარსელში ხშირათ შემხვედრიან. თავში რაღაც აზრი მიტრიალებს, ვიცოდი რომ აქ უცნაური რამე დამემართებოდა. აბა, ნულარ მოეცდებით მუშაობას.

შეუდგენ ისევ გაცხარებულ მუშაობას, რამდენიც ხეები ტიტვლდებოდენ, იმდენათ გარშემო ადგილები ივსებოდა ნამუშავრით, მოჭრილი ქერქებით.

მემამულე ამხნევებდა და აჩქარებდა მუშებს; შუადღემდის საქმე ბლომათ უნდა გაეკეთებინათ, თორემ შუადღისას დიდი სიცხე იცოდა და ველარ იმუშავებდენ. თითონ მუშებმაც იცოდენ და დროს არ ჰკარგავდენ.

—ამ გვამს ხომ აქ არ დავაგდებთ, უნდა ყური ეუგდოთ, თქვა მემამულემ.

გვამი თითქოს ყველას დავიწყებოდა. ხოლო ფასკუნჯი თვალს აღევნებდა და არ ივიწყებდა თავის საკბილოს, ზემოდან დაჰფრინავდა, ხან მაღლა-მაღლა აფრინდებოდა ხან სულ ძირს დაეშვებოდა. დავლას თვალს არ აშორებდა.

მემამულემ უბრძანა მუშებს გაეკეთებინათ საკაცე, გვამი წაეღოთ მოშორებით და მდელოზე სადმე დაემარხათ. ფილიდორმა ხის ტოტების ჯვარი გააკეთებინა, რაც ლოცვები იცოდა წაიკითხა. გვამის საფლავში ჩასვენების დროს კანადიმ ერთი საშინლათ დაიღმუილა და ფასკუნჯმაც დასჭყივლა, რადგან ესალჰებოდა თავის დავლას.

—ახლა შენ ჩემი იქნები, უთხრა ფილიდორმა მიენას და ალერსით ნიკაბი დაუჭირა.

ეს მოშიშარი ყმაწვილი ისე დაჩეული იყო ცემას, რომ ფილიდორის ალერსმა შეაშინა და უკან დაიწია. მაგრამ მაშინვე ამ კაცის კეთილ სახეს რომ დააცქერდა, შერცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—შეგაშინე? უთხრა ფილიდორმა.

—არა. კეთილო კაცო, უთხრა მიენამ და ახლა თითონვე მიუ-ახლოვდა,—მე იმდენს მცემდენ, იმდენს, რომ სუყოველთვის მეშინიან.

—მერე ვინა გცემდა?

—ის მოხუცებული, კანადიმ რომ დაახრჩო.

—ვინ არი კანადი?

—იმ ზანგი დედაკაცის ძაღლი. ჩემი მეგობარი, ერთათ ერთი მეგობარი... და მიენამ ძაღლს ალერსით ხელი გადაუსვა.

კანადიმ თითქოს გაიგო ლაპარაკი, დაუწყო თავის მეგობარს ხელების ლოკვა.

—სად არიან შენი მშობლები?

—არა მყავს. მომიკვდენ. ეგ მოხუცებული დედაკაცი მეზობელი იყო და ამიყვანა. ძალუას ვეძახდი, მაგრამ ის სულაც ძალუა ჩემი არ იყო, ბოროტათ მექცეოდა. კანადი რომ არა მყოლოდა, რომელიც ყოველთვის ურმის ტარებას მშველოდა და ზამთარში თავისი ბალნით მათბობდა, აქამდის ათასჯერ მოვკვდებოდი.

—განა შესაძლოა ამისთანა საქმე! წაიბუტბუტა ფილიდორმა—რა არ ხდება ქვეყანაზე!

მერე ერთბაშათ წამოიძახა:—რა ბევრნი ყოფილან აქეთ მხარეს ასეთი უპატრონოები. აქაური დედ-მამები მაინც ჩემზე ბედნიერები არიან. მე ერთი ქალი მყვანდა, ისიც ღმერთმა მაშინვე წამართვა.

—რას აღელვდი ერთი ზანგი ყმაწვილის გულისთვის, უთხრა მემამულემ.

—როგორ თუ ზანგი ყმაწვილი! —დაიყვირა ფილიდორმა, თეთრი კანი რომ არა აქვს იმიტომ უნდა აწვალონ და სცემონ? აქაურებს ძაინც სხვა ნაირი შეხედულობა გაქვთ ყველაფერზე. ჩვენში ყმაწვილს ვინ გაუბედავს ცემას, მაშინვე დაიჭერენ.—მერე მიახედა მემამულე მიენას დასისხლიანებულ ფეხებზე და უთხრა:

—დახეთ ამის ფეხებს. აბა, თქვენი ბავში იყოს ამ მდგომარეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაზე მემამულემ სიცილით უპასუხა:

—შენ ძალიან კეთილი კაცი ყოფილხარ, მაგრამ არც მე ვარ გულქვა. დაიჭი ეს ჩემი ყუთი, ამაში ყოველგვარი წამლები მაქვს და უწამლე მაგ ყმაწვილს.

ფილიდორმა რასაკვირველია ამოიღო მაშინვე ყუთიდან წამლები და მიენას დაწყლულებულ ფეხებზე დაადო.

III

—მიენა, მიამბე როგორ მოხდა ეს საქმე, რომ ძალლმა მოხუცი დააბრჩო, ჰკითხა ფილიდორმა, რაკი ნახა რომ ბავში შეეჩვია იმას.

მიენა გულწრფელათ ჰოუყვა ამბავს, რომლის დასაწყისი ჩვენ უკვე ვიცით: ერთხელ მე ისე დალალული ვიყავი, რომ ველარ შევძელ ურმის ტარება; ზანგის დედაკაცი იძულებული გახდა თითონ შებმულიყო და რადგან მე ფეხზე ველარ ვდგებოდი, შიგ ურემში ჩამაგდო, მერე როდესაც მოვედით ამ ტყეში, სადაც აპირებდა მუშაობას, გადმოვიღო ბალახზე და დამიწყო უწყალოთ ცემა. ჩემმა მეგობარმა ძალლმა, კანადიმ ველარ მოითმინა, მივარდა მოხუცებულს და დააბრჩო.

—ახლა რას აპირებ? ჰკითხა ისევ ფილიდორმა.

—არ ვიცი.

—ვინ შეგინახავს?

—არც ეგ ვიცი.

—ხომ პატარა ხარ, ვერ იმუშავებ.

მიენამ ხმა არ ამოიღო, თითქო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მერე წაიბუტბუტა:

—ალახია ჩემი მფარველი.

—ალახი!—გაიმეორა დაცინვით ფილიდორმა,—მგონი ეგ ალახი მე ვიქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—განა ფიქრობ მაგის აყვანას? იკითხა მემამულემ.

—მაშ არა ვფიქრობ?, მხოლოთ... რაღაც მიშლის... ფილიდორმა დაუ'მვა ძირს თავი და მიეცა ღრმა ფიქრებს. ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა.

—მართალია ბევრი ხარჯი მოგინდება.

— ხარჯი ფიქრათ არ მომდის. განა მე ისეთი ღარიბი ვარ? აქ ფულის საქმე არ არი. მართალია, არც დიდი შეძლების პატრონი ვარ, მაგრამ მაგ მხრივ დაბრკოლება არ მექნება, სულ სხვა საქმეა...

ფილიდორი ხელ მეორეთ ჩაფიქრდა.

—რა სხვა?.. თქვი.

—კარგი, გეტყვი. ჩემი ცოლი მაწუხებს! ვინ იცის რა დღე დამიწიოს ამ ბარგით რომ მივიდე.

მიენა ხმას არ იღებდა და შესცქეროდა ორივეს, იცოდა რომ ავათ თუ კარგათ—ამის ბედი წყდებოდა.

მიენას დიდხანს არ მოუხდა ლოდინი.

—წამოხვალ ჩემთან, პატარავ? ჰკითხა ბოლოს ფილიდორმა, როდესაც ყმაწვილის აყვანის სურვილმა დასძლია.

— წამოვალ, უპასუხა, სწრაფათ მიენამ და გამოწვდენილ ორ ხელში ჩაუდო თვისი პატარა ხელები.

—მე შენ წაგიყვან მარსელში, იქ დაგიხვდება დედა, ხომ გინდა?

—მერე ეგ დედა არა მცემს?

—სულაც არა. თუ შეიყვარებ იმას და კარგა იმუშავებ, ისიც ძალიან შეგიყვარებს.

—ჰო; მე ბევრს ვიმუშავებ, თქვა მიენამ და სახე გაუბრწყინდა. ჩემ კანადისაც ხომ თან წავიყვანთ?

—ძაღლსა? თქვა ფილიდორმა და შეკრთა, არა, ჩემო პატარავ, არა, ეგ ჩვენ პირობაში არ იყო. როგორღა ვეჩვენო ჩემ ცოლს. შეუძლებელია, რომ ფილიდორს ძაღლი ჰყვანდეს. ათი წელიწადია, რომ მინდა ძაღლი ვიყოლიო და ყოველთვის უარს მეუბნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიენა ყურს აღარ უგდებდა.

ხმა ამოუღებლივ მივიდა პატარა ურემთან, ძაღლიც აედევნა.

—მაშ სჯობია ძაღლთან ერთათ შიმშილით მოვკვდე. წაიბუტ-ბუტა მიენამ.

—მერე მიალაგ-მოალაგა ურემში ყველაფერი და ანიშნა ძაღლს რომ ურემი უნდა წაეღოთ.

ფილიდორმა დააჭყიტა თავისი დიდრონი თვალები; რამდენსამე ხანს უყურებდა გაკვირვებით. მერე ჰკითხა:

—სად მიხვალ?

—მე თითონ არ ვიცი სად მივალ, უთხრა, ყმაწვილმა და გადიკდო ყელზე ულელი.

—მართლაც, რომ არ იცი რას ჩადიხარ, —თქვა ფილიდორმა,— რა გაეწყობა, შენი სურვილი უნდა ავასრულო, წამოიყვა ეგ ძაღლიც. მერე გადუსვა ხელი ძაღლს და უთხრა: მადლობა უთხარ შენ პატარა ქალბატონს და ფილიდორსაც, რაც უნდა დამემართოს, სამნივე მივალთ ბინაზე. ჩვენ სამნი ვიქნებით და შეგვეძლება წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩემ ცოლს.

ამ ლაპარაკის დროს მოისმოდა მუშების სიმღერა და ხმაურობა. მუშაობას ათავებდენ. თან-და-თან მატულობდა გროვა მუხის ქერქისა.

ღამდებოდა, გორაკების მაღლობები გაწითლებული იყო ჩამავალი მზის სხივებით. ფრინველები დაეძებდენ თავთავიანთ ბინას.

მუხებს ეხვეოდენ დიდ ძალი ჭიალუები, უნდოდათ ახალ ქერქ მოცლილ ხისთვის გამოეწუწნათ წვენი.

IV

აი გამოჩნდა მარსელიც! წითელი სახურავებით გადახურული სახლები, თვალ გაუწვდენელი ბულვრები ხალხით სავსე. ძველ ნავთსადგურში ირეოდა ქვეყნის ნავები და გემები. რომელი ქვეყნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყვით, რომ აქ გემი არ იდგა ალჟირიდანაც მოვიდა გემი ჩვენი ნაცნობებით.

დიდი ამბით მოდის ნავსადგურში გემი, მის აქეთ იქით ზღვა მოლურჯოთ ღელავს. გემი გავლილ გზაზე სტოვებს თოვლივით თეთრ ქაფს. ნაპირას ელის დიდ ძალი ხალხი, ზოგი ნავსადგურის მოსამსახურენი და ზოგი მიმავალი ხალხის მახლობლები. შედგა გემიც, გადმოაქვთ ბარგი: სკივრები, ტომრები, აბგები და სხვა...

—აი ჩემი ქმარიც მოსულა, მოისმა ქალის ხმა, ფილიდორი არ ასცდენია გემს.

ფილიდორის ცოლი შუახნის დედაკაცი იყო, თმები ისეთი შაი ჰქონდა რომ ლურჯათ ელავდა. სახე სწორი და წმინდა, თვალები მშვიდი, წარბები გრძელი და გადაჭიმული. ყველა ეს ალამაზებდა ქალს.

—ფილიდორ, ფილიდორ, უყვიროდა ცოლი და ხელსახოცს უქნევდა, მაგრამ ფილიდორს არაფერი არ ესმოდა და არცა ხედავდა.

—რა დაყრუებულა ეს ჩემი ქმარი? ამ ცოტა ხანში ნუ თუ მის თვალებმა მხედველობა დაჰკარგეს, რაც ალჟირში წავიდა.

საბრალო ფილიდორი იჯდა გემის აივნის კუთხეში გულ ამღვრეული, როგორც დამნაშავე ბავში, განსაცდელის საათმა დაჰკრა. საბრალოს გული უცემდა საშინლათ.

განა ოჯახში თითონ არ იყო უფროსი?

სანამ ალჟირში წავიდოდა, მართალია თითონ იყო უფროსი ახლა სულ სხვაა, ცოლმა ვინიცის რა თქვას.

მარტო ყმაწვილი რომ მოჰყავდეს კიდევ არაფერი, ეს ძალი რაღა ღვთის რისხვაა! ორივეს მიყვანა ერთათ გასაჭირია.

მაგრამ რაღა ეშველება, რაც მოხდა-მოხდა! რაკი ამ გადაწყვეტილებას დაადგა ფილიდორ, ყოჩაღათ გადმოვიდა გემიდან და მხურვალეთ გადაეხვია თავის მოსიყვარულე ცოლს.

—როგორ იმგზავრე, ჩემო კარგო?

—რა უჭირს, კარგათ, ფლორინავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

—კმაყოფილი ხარ, საქმეები კარგათ მიდის?

—კარგათ, ფლორინავ, კარგათ. სახლში ხომ არაფერი ცვლილება არ მოხდა.

— რა ცვლილება? და ერთი ისე გაწითლდა ფლორინა, იტყოდით ჭარხალიაო.

ხელი-ხელს გაყრილი ცოლქმარი მიდიოდენ თავის სახლისკენ. უკან, ცოტა მოშორებით მისდევდა ვიენა თავისი ძაღლით, ფილიდორმა დაარიგა სანამ არ დაგიძახო, აბლოს არ მოხვიდეო.

ცოლმა რომ უცნაურათ წამოიძახა: ,,რა ცვლილება''! ფილიდორმა უცბათ უკან მიიხედა.

—არ ვიცი ღმერთმანი როგორ გამოგიტყდე! განაგრძო ქალმა.

ფილიდორს ვერა გაეგო რა, ისეთი რა უნდა მომხდარიყო მის სახლში იმის არ ყოფნაში. კაცი შეკრთა და მორიდებული აქეთ-იქით იცქირებოდა.

ესენი მალე მივიდენ იმ ქუჩაში, სადაც ამათი სახლი იდგა. უცბათ ფლორინა შედგა და თქვა არა ჩვეულებრივ აღელვებით:

— ფილიდორ ხომ ძალიან არ გამიჯავრდები?

— განა როდისმე გიჯავრდები?

— მაშ გეტყვი.. შენ რომ აქ არ იყავი... მაშინ...

— თქვი, რა ღმერთი გაგიწყრა!

— მე ავიყვანე... ერთი... ერთი... ბავში. დიდი გაჭირებით თქვა ფლორინამ.

ფილიდორმა გაკვირვებით რამდენსამე ხანს ხმა ველარ ამოიღო. მერე შესძახა:

—რას მეუბნები? გიშვილია ვინმე?

ცოლი დიდხანს პასუხს არ აძლევდა, ფილიდორმა გადიხარხარა.

—აჰ! რა კარგი ამბავია!

ფლორინამ თავი მაღლა აიღო.

— სად იპოვე ეგ ბავში, ჰკითხა ფილიდორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაესადგურში. მისი მამა მაშინამ მოჰკლა იმ დროს, როდესაც დედა საავათმყოფოში კვდებოდა. მაშინ ფიქრათ მომიყვიდა. .

— შენ ადგილას, ჩემო კარგო, მეც აგრე მოვიქცეოდი. შენი შვილობილი ქალია თუ ვაჟი?

— ათი-თორმეტი წლის ვაჟია, მითხარი, არ გინდოდა რომ ამეყვანა? რაღაც სხვანაირათ იცქირები.

— იცი რა გითხრა... ფლორინა, ჩემო კარგო და მაგრათ მოჰკიდა ხელი ცოლს,—იცი, რომ მეც ალჟირში ეგ მომიყვიდა ფიქრათ. როგორც შენ აქ ვაჟი აიყვანე—მე იქ ქალი ვიშოვე.

— მართლა! მერე სადა გყავს ბავში? ჰკითხა ცოლმა.

— აი, ესეც! უთხრა ფილიდორმა და მიიყვანა ცოლთან მიენა, რომელიც ისე ახლოს მისდევდა ამას, რომ ფეხებში ებლანდებოდა, რადგან ცოლ-ქმარი ლაპარაკში ისე გაერთენ, რომ სულ წყნარა მიდიოდენ.

ფლორინამ ვერ შეიმაგრა თავი და წამოიძახა:

— ზანგის ქალი!

— მერე რა ვუყოთ, ჩემო კარგო, თქვა ფილიდორმა წყნარათ,—რასაც იპოვის კაცი, იმას აიყვანს. იქ სულ მაგისთანები არიან.

ქმარი მოუყვა ამბავს, თუ რა მდგომარეობაში ნახა მიენა, და როგორ დაებადა აზრი მარსელში წამოეყვანა.

ამ ლაპარაკის დროს მიენა ათვალიერებდა სახლ-კარს, რადგან მივიდენ კიდეც.

სამზარეულოში შევიდენ. მაგიდაზე ქვეყნის ხორაგი იდო: თევზები, კომბოსტო, კარტოფილი, ხახვი, წვანილი და კიდევ ბევრი რამე, რომელიც მიენას თავის დღეში არც კი ენახა. თაროებზე ეწყო: ქვაბები, ტაფები, ქაფჩები, დანები და სხვა საჭირო ჭურჭელი და სისუფთავით ვერცხლსავით ბრჭყვინავდენ. ოჯახს არ ეტყობოდა სიღარიბე. მიენა თუმცა დაღალული იყო, მაინც გრძნობდა, რომ დღეის იქით ამის ცხოვრება სულ სხვანაირათ წავა, ამას ახლა ეყოლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახი და სიყვარულით და მადლობით შესცქეროდა იმას, ვინც მიანიჭა ამნაირი მოულოდნელი ბედნიერება.

ფილიდორმა გაათავა თუ არა თავის მოთხრობა ფლორინამ გაუწვდინა ხელი მიენას და უთხრა:

— მოდი, მომეხვიე, ჩამო პატარავ!

ბევრი თხოვნა არ დასჭირდა მიენას, მან მხურვალეთ აკოცა კეთილ დედაკაცს.

ფილიდორის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ამ დროს ერთბაშათ კარი გაიღო და პატარა ვაჟი ცოცხალ თვალებიანი და ხუჭუჭ-თმიანი შემოვარდა ოთახში.

— ახლა ჩემი რიგია, თქვა ფლორინამ, დაუჭირა ყმაწვილს ხელი და მიიყვანა თავის ქმართან.

— აი, ესეც ანრი.

— კეთილი იყოს შენი ჩვენთან ყოფნა,—უთხრა ფილიდორმა და გადაეხვია. მერე უჩვენა მიენაზე, რომელიც მაგიდასთან იჯდა და გაკვირებით უცქეროდა ახალ შემოსულს.

— აი, შენი პატარა და, მიდი მოეხვიე!

ანრიმ შავი ყმაწვილი რომ დაინახა, მაშინვე უკან დაიწია და უცბათ კუდზე ფეხი დაადგა კანადის, რომელიც ჯერ ფლორინას არ ენახა.

ძაღლის ღმუილზე ფლორინა შეხტა და წამოიძახა:

— ვილასიც ძაღლი გამოგვყოლია. გასწი, შე საძაგელო ახლავე აქედან.

ფლორინამ აიღო ცოცხი და ის იყო უნდა გაეგდო ძაღლი, რომ მიენამ ნელის ხმით ყურში ჩაუჩურჩულა:

— ეგ კანადი არის, ჩემი ძაღლი, ძალიან კეთილი და ჭკვიანია. თუ გინდათ რომ მიყვარდეთ, მაგას ნურას ერჩით.

ძაღლი თითქოს მიხვდა, რომ იმაზე ლაპარაკობდენ, მიცოცდა ფლორინასთან, მოიკუნტა მის ფეხებთან და დაუწყო ლაქუცი.

ძაღლი ისეთი ალერსით შეცქეროდა, მიენა ისე ეეფერებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებით, ფილიდორი ისე აღელვებული იყო, რომ ფლორინა ვეღარ ეწინააღმდეგა და ვეღარ გაყარა ისინი, ვინც შემთხვევით მიეკედლენ მას.

— რა გაეწყობა! დარჩეს!

ფილიდორმა სიხარულით წამოიბუტბუტა:

—ესე რამ გამოცვალა ჩემი ცოლიო!

დიასახლისმა ორი სულის მაგივრათ, დღეს ოთხი სულისთვის გაშალა სუფრა.

ანრი უნებლიეთ მიუახლოვდა მიენას და დაუწყო გაკვირვებით ცქერა მის შავ პირის-სახეს. სადილზე ყმაწვილს ხმა არ ამოუღია, საღამოზე კი ძილის დროს მივიდა ფლორინასთან, უჩვენა მიენაზე, რომელიც ღრმა ძილში იყო კიდეც და ყურში უჩურჩულა თავის დედობილს:

— რათა აქვს პირის-სახე აგრეთი შავი?

V.

ფილიდორის ოჯახი სამაგალითო ოჯახი იყო, ვერც ჩხუბს, ვერც უყმაყოფილებას, კაცი ვერ გაიგებდა: ცოლ-ქმარი მაღალ სიტყვას არ ეტყოდენ ერთმანეთს. ფლორინა თავის ოჯახს უვლიდა, ფილიდორი თავის ქარხანიდან ფეხს არ იცვლიდა. მთელი დღე ერთი მუშის დახმარებით აკეთებდა ბოთლების დასაცობს (პრობკებს) მუხის ქერქიდან და ამითი ვაჭრობდა... ხეირიც ჰქონდა ამ ვაჭრობით, რადგან სვინდისიანათ ექცეოდა მყიდველებს. თვალებ ახვეულიც რომ მისულიყო მყიდველი, იცოდა მაინც, რომ არ მოატყუებდენ.

ფილიდორი რაც ალჟირიდან დაბრუნდა, დღეში ორი საათით მეტს მუშაობდა, ვიდრე ადრე, რადგან ახლა ორი სული მეტი შესანახავი ჰყავდა და მეტადრე ამათ სწავლისათვის მოუნდებოდა ბლომათ ფულები.

ანრი მაშინვე მიაბარა სკოლაში და საღამოობით ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანაში ჰყავდა და აჩვევდა თავის ხელობას! მიენას ოჯახის მოვლას ასწავლიდა ფლორინა.

მიენას გაწრთენა თავდა-პირველათ ქალმა დაიწყო იმითი, რომ გააცხელა წყალი და აბანო მოამზადა თავის შვილობილისათვის. დიასახლისს სისუფთავე ძალიან უყვარდა. მიენას დიდი თხოვნა მოუნდა, ბოლოს ფლორინამ უთხრა: ალჟირში გაგისტუმრებ თუ ჭუჭყს არ მოიცლიო.

მერე როდესაც მიენა ჩაეშვა თბილ წყალში, ძალიან იამა, მეტადრე საპნის ქაფი მოეწონა და ართობდა მას.—დაიწყო სიცილი ჩუმათ პირშიაც ჩაიდო, მაგრამ გემო ნახა თუ არა, დაიღრიჯა. ფლორინა ჩუმათ უყურებდა და უთხრა:

— შე გაუმაძღარო!

ფლორინამ გაასუფთავა მიენა, ჩააცვა-დახურა ისე მართებელათ, რომ თან ეტარებინა ბაზარში.

მიენა გულმოდგინეთ ექცეოდა საქმეს, ხალისით აკეთებდა ყველაფერს და ოჯახში საერთოთ ყველა მხიარულათ ცხოვრებდა.

შაბათ საღამოობით მთელი სახლობა იყრიდა თავს ქარხანაში და კვირის განმავლობაში გაკეთებულ ბოთლების საცობს თვლიდა. მიენამ ასამდის ისწავლა თვლა და ისიც შველოდა.

კაი მუშა დღეში ორი ათას ბოთლის საცობს (პრობკას) გათლიდა. ფილიდორი თავის მუშით კვირაში ამზადებდა 25 ათას პრობკას. წვრილს და დიდრონს შაბათობით უნდოდა გადარჩევა.

ფილიდორი და ფლორინა ისხდენ ხოლმე საკარძელში, მიენა და ანრი დაბლა იატაკზე და დიდ თვლაში იყვენ. კანადი გაშხლართული იქვე წაჰოწოლილიყო, ეტყობოდა, რომ ახლანდელი მდგომარეობა ათასწილათ უფრო ურჩევნოდა ადრინდელზე.

— ორასი, ორას ერთი, ორას ორი. გაისმოდა ჩუმათ ფლორინას ხმა.

— ოთხმოცდა თერამეტი, ოთხმოცდა ცხრამეტი, ასი, ამბობდა მიენა და ყოველ ასს ნიშნავდა დაფაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ათასი, წამოიძახებდა სწრაფათ ანრი, რომელმაც ჩქარი მუშაობა იცოდა.

ხანდისხან მოისმოდა ფილიდორის ბოხი ხმა:

— ყოჩაღათ იყავით, ყმაწვილებო, ყოჩაღათ. ხუთი ათასზე მეტი დაგვითვლია... ეახშმობამდის კიდევ სამი ათასი გვაკლია...

— ძალიან მოსაბეზრებელია ასე სათითაოთ დათვლა, განაგრძო ფილიდორმა, მაგრამ რას გავაწყობ. დიდი ხანია ყაირათს ეწევდი; ვაგროვებდი ფულს, რომ ორი მანქანა მეყიდნა, ერთი პრობკების გასაკეთებელი და მეორე დასათვლელი. ახლა შვიდობით ფულის მოგროვებავ, როდესაც ორი მჭამელი მომემატა! დიდხანს მოგვინდება კიდევ დათვლა და ხელებით ცოდვილება. მაგრამ მაინც ამის დათვლა სჯობია, ვიდრე პატარა ურმის თროკიალი, არა, მიენავ!

— ჰოდე, რა თქმა უნდა! უპასუხა კმაყოფილებით მიენამ, რომელიც 'მიშით იგონებდა ალჟირში გატარებულ დღეებს.

— მერე იმ მანქანით საათში რამდენი დაითვლებოდა! ჰკითხა ცოლმა.

— წამში რვა ასს დათვლიდა კაცი, ე. ი. საათში ორმოცდაათი ათას.

— საათში ორმოცდა ათი ათასს? შეჰყვირა ანრიმ.

— ოჰ, მე ამდენს მთელ დღეშიაც ვერ გავაკეთებ. ახლა არც არი საჭირო მაგგვარი მანქანა, სანამ თითონ პრობკების გასაკეთებელი მანქანა არ მექნება, რომლითაც ბავშიც კი საათში რვა ათას გააკეთებს.

— მერე რატომ არა ყიდულობ ‘მაგ მანქანას, ჰკითხა ანრიმ.

— იმიტომ, რომ ჩვენ მოვინდომეთ ქალ-ვაჟის შეძენა, რაკი მიენა და შენ აგიყვანეთ უნდა გაგზარდოთ, გასწავლოთ, ხელობა შეგასწავლოთ, კაი გზაზე დაგაყენოთ, ყველა ამაებისთვის საჭიროა ფულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ მე რომ არ ავეყვანე, ობლათ რომ დავრჩი, ჩემ დედობილს და შენც რომ არ მოგეყვანა ეს პატარა დაუა ხომ იყიდდი მაგ მანქანებს.

— იქნება ამ წამს არ მეყიდნა, მაგრამ უსათუოთ მალე მექნებოდა და ისეთ კაი პრობკებს გავაკეთებდი, რომ მუშტარს ბევრს ვიშოვიდი და ვაჭრობას გავაჩაღებდი.

ან. წ - სა.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა ს წ ა:

(ფრანგულიდან)

I.

ეჰ, ეს რა შვენიერი დუქანი გაუხსნიათ!—აღტაცებით წამოიძახა შვიდი წლის კოწიამ, გაჩერდა და ცნობის მოყვარეობით დაიწყო სარკმელში ყურება. მისი ჰატარა და, კატოც, იმავე საქმეში გაერთო.

დუქანში ყიდდენ სხვა-და-სხვა ფერ საღებავ წამლებს; ათასფერი წამლები სასიამოვნოთ ელვარებდა და იტაცებდა ბავშების თვალებს.

— მე რომ გავიზდები, უსათუოთ მხატვარი გამოვალ და სულ ამისთანა ფერადი წამლებით ვხატავ.—გამოაცხადა კოწიამ.

— მეც აგრე ვიზამ!—დაატანა კატომ. იმას ჩვეულებათ ჰქონდა, რასაც უფროსი ძმა იტყოდა, ყოველივე უნდა გაემეორებინა.

— ნეტავი ახლა სკოლაში არ გვეჩქარებოდეს! დუქნის ჰატრონი ნებას მოგვცემდა, შევიდოდით და დავათვალიერებდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავი მართლა არ გვეჩქარებოდეს!—გაიმეორა ვა-ტომაც.

ამ დროს დუქნის პატრონს მეორე ოთახიდან დაუძა-ხეს, ის გავიდა და ოთახი ცარიელი დარჩა.

— უჰ! ახლა ყველაფრის ხელის მოკიდებაც შეიძლე-ბოდა!—წამოიძახა კოწიამ.

— კი, შეიძლებოდა!—დაეთანხმა კატო.

— მოდი შევიდეთ, დიდხანს კი ნუ დავრჩებით! უცებ ვნახოთ და მერე სირბილით წევიდეთ სასწავლებელში!— უთხრა დას კოწიამ.

— კარგი, შევიდეთ და მერე სულ სირბილით წავი-დეთ სასწავლებელში.

ბავშები ხელი-ხელ ჩაკიდებული შევიდენ დუქანში და დაუწყეს ყველაფერს დაწვრილებით თვალიერება.

II.

ნახევარი საათის იქით იმ ქალაქში, სადაც კოწია და კატო ცხოვრებდენ, საშინელი ხმაურობა ატუდა; ყველა მირბოდა ერთ ადგილისკენ, ყველა რაღაცას უყურებდა.— ორი პატარა გარეული კაცი ჩამოსულა, სულ გარეულე-ბია, არავინ არ იცის, საიდან მოვიდენ და როდის!— ამბობდა ყველა და გარს ეხვეოდენ ორ პატარას. საცო-დავი და საშიშარი სანახავები იყვენ ეს გარეული კაცები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეც, ხელებიც, ტანსაცმელიც, სულ სხვა-და-სხვაფერათ ჰქონდათ შეღებილი, ისინი მოკუნტულიყვენ და იქით-აქეთ იყურებოდენ, ეტყობოდათ, ძალიან შეშინებული იყვენ და გაქცევას აპირებდენ; მაგრამ ხალხი არ ეშვებოდა მათ; შამოხვეოდენ გარს და გამოძიებას ახდენდენ, რომელი ქვეყნიდან ჩამოსულან და რა საქმისთვისო.

— რა ჰქვიან თქვენ ქვეყანას?—ჰკითხავდა ერთი.

— როდის მოხვედით?

— რომელ ხალხიდანა ხართ? რისთვის მოხვედი? ახლა სად მიდიოდით?—ზედი-ზედ აყრიდენ კითხვას და პასუხს არც კი უცდიდენ.

— სა-ს-წ-ა... ძლივს წაიბუტუნა უფროსმა ემაწვილმა,

— უი, ამათ ქვეყანას და ხალხს სასწა რქმევია! სასწა! დაიწყეს გარშემო ყვირილი.

— რა ენაზე ლაპარაკობთ სასწაში? ჩვენი ენა როდის ისწავლეთ? ჩაცივდენ კიდევ.

შეშინებულმა გარეულმა კაცებმა ტირილი დაიწყეს; ცრემლები ლაპა-ღუპით ჩამოდიოდათ, სახელოებით იწმენდდენ და... ამ დროს სახეზე წამალი გადაეცალათ და თეთრი ხორცი გამოუჩნდათ.

— ესენი მგონია ჩვენებური ეოფილან!—დაიძახა ერთმა ვილაცამ.

— წავიყვანოთ პირი დავბანოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაიყვანეს ორი ჰატარა გარეული კაცი, დაბანეს ხელ-პირი და ნახეს, რომ ისინი თეთრი ბავშები იყვენ.

აქ კი ყველაფერი აიხსნა. ეს ჰატარები — კოწია და კატო იყვენ. როცა დუქანში საღებავ წამლებს ათვალიერებდენ, ისე ახლოს მიდიოდენ ყოველ მათგანთან და ისე გულ-მოდგინეთ შინჯავდენ ხელებით, რომ მეუნიშვნელათ სულ მოსვრილიყვენ; როცა გამოვიდენ დუქნიდან, მაშინ კი დაინახეს, რაც დამართნოდათ და სახლში წასვლა მოინდომეს, მაგრამ ვინღა დაცალა! ხალხი დაედვა: გარეული კაცები ჩამოსულანო და ფეხის გადადგმაც აღარ აცალეს. საწყალი შეშინებული ბავშები დაამშვიდეს და თავის დედ-მამასთან წაიყვანეს.

მას აქეთ, როცა კოწია და კატო სასწავლებელში მიდიოდენ, ცდილობდენ, იმ ქუჩაზე არ გაეარათ, სადაც საძაგელი წამლების დუქანი იყო.

ე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს მდინარის მეფე

ანუ შავნი ძმანი

(ეტერიული ზღაპარი ედონ რესკინისა)

შვარცი ოქროს მდინარისკენ გაემგზავრა.

IV

აწყალი უნცროსი ძმა გლიუკი მარტო დარჩა და მოუთმენლათ ელოდა განსის დაბრუნებას. მაგრამ სად იყო, განსი არ მოდიოდა. შეწუხებული გლიუკი შვარცთან საპყრობილეში მივიდა და ყველაფერი უამბო. ეს ამბავი შვარცს იამა, უთუოთ ჩემი ძმა შავ ქვათ გადაიქცეოდა და მთელი ოქრო ახლა მე დამრჩებაო. მაგრამ გლიუკს ძლიერ ენანებოდა ძმა და მთელი ღამე ტირილში გაატარა. დილით ნახა რომ სახლში არც ფული და აღარც პური იყო. მეტი ჯანი არ იყო, უნდა ემუშავნა და შეენახა თავისი თავი; გლიუკს თავისი ძმის შვარცის დახსნაც უნდოდა. დაუდგა მეზობელ ოქრომჭედელს მოჯამაგირეთ. მუყაითათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკიდებოდა საქმეს,—იმდენს მუშაობდა, რომ შეაგროვა ფული და ძმა საპყრობილედან გამოიხსნა. გამოვიდა შვარცი ციხიდან და მოინდომა წყლიდან ოქროს ამოღება. გლიუკი კი იმას თხოვდა, რომ გაეგო დაკარგული ძმის რამე ამბავი. შვარცმა შეიტყო, რომ განსს ნაპარევი წყალი ჰქონდა და გაიფიქრა, ალბათ ამგვარათ ნაშოვნი წყალი ოქროს მდინარის მეფეს არ მოეწონაო, და განიზრახა წმინდა წყალი უფრო სამართლიანი გზით ეშოვა. იპოვნა გრძნეული, რომელმაც შვარცს წმინდა წყალი მიჰყიდა. მეორე დღეს მზის ამოსვლამდის შვარცი შეუდგა მთებს. ძმასავით ისიც ძალიან გაოცდა, საყინულე რომ დაინახა, ამანაც გადაიარა ყინული და ძმასავით საგზლიანი კალათა დატოვა ყინულზე. კლდეზე რომ მიდიოდა, შვარცს წყალი მოსწყურდა და მიიტანა თუ არა ბოთლი პირთან, შეასწრო თვალი კლდეზე მწოლიარე ბავშს, რომელიც ტიროდა და წყალსა თხოულობდა.

—წყალი გინდა? მართლა? მეც რომ არ მყოფნის!!—და გაუარა ბავშს. აქ თვალი მოჰკრა, რომ შავი ღრუბლები დაიძრენ დასავლეთიდან. ერთ საათს შემდეგ წყალი კიდევ მოსწყურდა და დალევა რომ დააპირა, ბილიკზე მოხუცი დაინახა; წყალსა თხოულობდა, მაგრამ შვარცმა არ მიაქცია ყურადღება და გაიარა. ახლა შავი ღრუბლები ცაზე უფრო მაღლა ავიდენ და ზღვის ტალღებივით მის თავზე ირეოდენ. ისინი ჩრდილავდენ ბილიკს, რომელზედაც შვარცი მიდიოდა. ერთ საათს კიდევ იარა ამ მთებზე და წყალი ისევ მოსწყურდა. მიიტანა თუ არა პირთან ბოთლი, მას თავისი ძმა განსი მოეჩვენა; მიხრწნილი, ძალა-მიხდილი ბილიკზე იწვა და ხელებ გაწვდილი წყალსა თხოვდა... —ჰა, ჰა, ჰა... გადახარხარა შვარცმა—შენ აქა ხარ? მოიგონე საპყრობილე! წყალიო! ნუ თუ გგონია, რომ წყალი შენთვის წამოვიღე? და გვერდი აუარა ძმას. მაგრამ შვარცს მოეჩვენა, რომ ძმა დასცინოდა, გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, მოიხედა უკან, მაგრამ ძმა იქ აღარსად ჩნდა. გამოუთქმელმა შიშმა აიტანა შვარცი; მაგრამ ოქროს პოვნის სურვილმა შიში დააძლეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა და განაგრძო გზა. შავი ღრუბლების მთელი გროვა თავს დაადგა, დაიგრიალა მეხმა, გაიელვა და გაჰკვეთა მოქურუშებული ცა. წყლის ჩანჩქარის ხმა შეუერთდა მეხის ჭექას და იმავე დროს, როცა შვარცმა ბოთლი წყალში გადააგდო, ელვამ დააბრმავა, დედა-მიწა შეინძრა და შვარციც წყალმა შთანთქა. მთელ ღამეს წყალს არ მოუსვენია; გაგიჟებულათ გადარბოდა ორ „შავ ქვაზე".

V

გლიუკის ოქროს მდინარესკენ გამგზავრება.

გავიდა დრო და აღარც შვარცი ბრუნდებოდა. გლიუკი ძალიან დაღონდა და არ იცოდა რა ექნა. ფული შემოაკლდა და იძულებული გახდა დასდგომოდა მოჯამაგირეთ ისევ ოქრომჭედელს, რომელიც სასტიკათაც ეპყრობოდა და ჯამაგირსაც ცოტას აძლევდა. ერთი თვე დაჰყო ოქრომჭედელთან, მეტს ველარ გაუძლო და გადასწყვიტა ოქროს წყალზე წასულიყო ბედის საცდელათ.

—პატარა მეფე თითქო კეთილ ადამიანს ჰგავდა—ფიქრობდა გლიუკი:—და არა მგონია რომ შავ-ქვათ გადამაქციოსო.

გლიუკი მივიდა წმიდა მამასთან, რომელმაც დიდის კმაყოფილებით და დაუყონებლივ მისცა წმიდა წყალი. გლიუკმა კალათში ჩაიდო პური, ერთი ბოთლი წმიდა წყალი და დილა ადრიან გაუდგა გზას. გლიუკს ერთი ათათ გაუძნელდა საყინულეზე გადავლა, რადგანაც, ჯერ ერთი, რომ იმათსავით დიდი ღონე არ შესწევდა, და მეორე, რომ ძმებსავით მთებში გაჩვეული არ იყო. ბევრჯელ წაიქცა, დაჰკარგა კალათა პურით, ძლიერ ეშინოდა ყინულის ქვეშ წყლის გრგვინვისა. გავიდა როკორც იყო სამშვიდობოს, გაშორდა ყინულს და მდელოზე კარგა ხანს დაისვენა. მაგრამ აგერ წასვლის დროც დადგა და შეუდგა კლდეს სიცხე პაპანაქებაში. ერთი საათის მანძილი გაიარა და წყალი მოსწყურდა. ძმებსავით იმანაც ბოთლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიმართა; მაგრამ იმავე დროს დაინახა ჯოხზე დაბჯენილი, მისუსტებული, მისკენ მიმავალი მოხუცი.

—შვილო,—უთხრა მოხუცმა,—ეკვდები უწყლობით, ცოტა დამალევინე, აკრემც ღმერთი გიშველის.

გლიუკმა შეხედა და რომ დაინახა მისი მოქანცული, გაფითრებული სახე, წყალი მიაწოდა.

—მიირთვით, მხოლოთ ცოტა კი დამიტოვეთ.

მოხუცმა მოსვა ბოთლის მესამედი, დაუბრუნა დანარჩენი და მშვიდობის გზა უსურვა. გლიუკმა განაგრძო გზა. რაღაცა სიმშვიდე და შემსუბუქება იგრძნო სხეულში. გზა თითქოს უფრო გაუადვილდა; ბილიკი რბილი სასიარულო გახდა. გამოჩნდა ბალახიც; აქეთ-იქით, ბილიკის პირას, ჭრიჭინა თავის სიმღერას გაიძახოდა. გლიუკს თავის დღეში ჭრიჭინების სიმღერა ისე სასიამოვნოთ არ ჩვენებია, როგორც ახლა ეჩვენა. ერთ საათს კიდევ იარა და წყურვილმა ისე შეაწუხა, რომ იძულებული იყო შეესვენა და წყალი მოესვა, ყელი გაესველებინა. მაგრამ ის იყო ბოთლი პირთან მიიტანა, რომ იქვე ახლოს, ბილიკის გვერდზე მწოლიარე ბავში დაინახა, რომელიც გულსაკლავათ ტიროდა და წყალსა თხოულობდა. გლიუკს წყალი ძლიერ წყუროდა, მაგრამ მოიხსნა პირთან მიტანილი წყალი და ბავშს—გაუწოდა; ბავში ხარბათ დაეწაფა და რამდენიმე წვეთი ღა დატოვა; წყალმა ბავში თითქოს მოასულიერა; იმან გაიცინა, წამოხტა და თავქვე დაეშვა. გლიუკი დიდხანს უყურებდა, სანამ ბავში კლდეს არ მოეფარა. მაშინ ისევ გაბრუნდა და თავის გზას გაუდგა. აგერ კლდეებზე მრავალგვარი საუცხოო ყვავილები გამოჩნდა, გამოჩნდა მწვანე, ფერადი ყვავილებით აჭრელებული მინდორი; ზამბახი და შროშანა იქვე სუნნელებას აფრქვევდა. ლამაზი პეპელები ყვავილებს გარს ევლებოდენ; ცა სასიამოვნოთ იყო გაბრწყინვებული; ამისთანა შემკული ბუნება გლიუკს თავის დღეში არ უნახავს და ასე ბედნიერათ თავისი თავი არასოდეს არ უგრძნია. კლდეზე კიდევ ერთი საათის მანძილი განვლო და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინელი წყურვილი იგრძნო. მოიხსნა ბოთლი და შეხედა. ხუთი ან ექვსი წვეთი ღა დარჩენილიყო, დალევა კი ვერ გაებედნა. ბოთლის ისევ წელზე ჩამოკიდება უნდოდა, რომ ფინიას თვალი შეასწრო; საწყალი უწყლოთ კვდებოდა. გლიუკი შედგა, დახედა ფინიას, მაგრამ იმავე დროს მოაგონდა ქონდრის კაცის სიტყვები: თუ ერთხელ-ვე ოქროს მდინარეს ვერ მიახწიე, შემდეგ ყოველივე ცდა ამაო იქნებაო და გადასწყვიტა ძაღლისთვის გვერდი აექცია; მაგრამ ძაღლმა გულ-საკლავათ დაიწკმუტუნა, შეჰყმუვლა და ამ ყმუილმა გლიუკი შეაჩერა:—საწყალი ძაღლი! გაიფიქრა იმან: „სანამ დავბრუნდებოდე, კიდეც მოკვდება, და ეღარას ეუშველი. მიუახლოვდა ძაღლს; ძაღლი იმისთანა საბრალოთ შეჰყურებდა გლიუკს, რომ ამ უკანასკნელმა ეღარ მოითმინა:

—არა, არც ოქროს წყლის მეფეს დავეძებ, არც იმის ოქროს! თქვა და მოიხსნა ბოთლი. ჩააწვეთა თუ არა წყალი ძაღლს პირში, ძაღლი წამოხტა და უკანა ფეხებზე დადგა, ბალანი თან-და-თან სცვიოდა, ყურები უმოკლდებოდა, ოქროსა და აბრეშუმის ფერი ეძლეოდა, ცხვირი უწითლდებოდა და თვალებს ელვარება და გამომეტყველება ემატებოდა; არ გაუვლია სამ წუთს, და ძაღლის მაგიერ გლიუკის წინ ძველი ნაცნობი, ოქროს მდინარის მეფე გაჩნდა.

—გმადლობ—უთხრა მეფემ.—ნუ გეშინიან, დაუმატა იმანვე, გლიუკი გაოცებული და შეშინებული რომ დაინახა. გლიუკს იმისი ეშინოდა, რათა ვთქვი ეს უკანასკნელი სიტყვებიო.

—ღმერთო! ნუ თუ თქვენ აგრე სასტიკათ მოეპყარით ჩემ ძმებს,—გაბედა გლიუკმა და ჰკითხა.

—სასტიკათ?—გაიკვირვა ქონდრის კაცმა,—იმათ უწმინდური წყალი ჩაასხეს ჩემს წყალში; ნუ თუ გგონია, ამის ნებას მივცემდი?

—როგორ თუ უწმინდური! ბატონო, ე. ი. თქვენო დიდებულებავ, იმათაც იმავე მოხუცს გამოართვეს წყალი.

—შეიძლება იმისთვისაც გამოერთმიოთ, მაგრამ . .—სახე შეეცვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ამას რომ ამბობდა, სიდინჯე დაეტყო —მაგრამ, ის წყალი, რომელსაც შეწუხებულს დაუჭერ, წმინდა აღარ არის, წმინდა კაცის მოცემულიც რომ იყოს. მოწყალების წყაროდან ამოღებული წყალია მხოლოთ წმინდა, თუნდ მკვდარი სხეულითაც რომ იყვეს წაბილწული —ამ სიტყვებით მოხუცმა მოსწყვიტა იქვე მდგომარე ზამბახი; მის თეთრ ფურცლებზე სამი დილის ნამი ბრჭყვინავდა. ქონდრის კაცმა ჩაუწვეთა ეს სამი ნამი ბოთლში გლიუკს და უთხრა:—ეს გადააგდე წყალში და მეორე მხრიდან ჩადი „სიმდიდრის ხევში". შემდეგ ქონდრის კაცის ტანი ნელ-ნელა ჰქრებოდა, მისი მოელვარე ტანთსაცმელი ნისლათ იქცა; ნისლი თან-და-თან მაღლა ადიოდა. ოქროს მდინარის მეფე გაჰქრა. გლიუკმა მიახწია ოქროს მდინარეს, რომლის წყალიც, სიწმინდით ბროლს ჰგავდა და მზესავით ბრჭყვინავდა. გადააგდო მიტანილი სამი დილის ნამი მდინარეში და იმ ალაგას, საცა სამი წვეთი ჩავარდა, მდინარემ ტრიალი და გრგვინვით დენა იწყო. გლიუკი რამდენიმე ხანს გაოცებული იდგა: წყალი ოქროთ კი არ იქცეოდა, არამედ კლებულობდა. მაგრამ არ გადავიდა მეკობარ ქონდრის კაცის რჩევას, მოიარა და „სიმდიდრის ხევს" მთის მეორე მხრიდან—მიუახლოვდა. მიდიოდა და თანაც ეჩვენებოდა, რომ წყალი ხუოდა და მიწას ღარავდა. როცა „სიმდიდრის ხევი" დაინახა, მის თვალს წარმოუდგა ოქროს მსგავსი წყალი, რომელიც მრავალ ნაკადულათ იყოფებოდა და მოწითანო ქვიშაზე, ახალ ხევში მირბოდა. საცა კი ეს წყალი გადაიღლიდა, იქ ახალ-ახალი, ნოყიერი ბალახი ამოდიოდა და ნოტიო მიწას ჰფარავდა. მდინარის ნაპირებზე ყვავილებს თავები გადაეშალათ და ლაჟვარდათ, ანთებული ვარსკვლავებივით კამკამებდენ. ვაზი და მირსინი ჩრდილავდენ თავისი ფოთლებით მიწას. „სიმდიდრის ხევი" ხელ-ახლა თან-და-თან საუცხოო წალკოტათ იქცეოდა და ბოროტი ქცევით დაღუპული მემკვიდრეობა, სიყვარულის ძალით ისევ ახლდებოდა, ახლათ იბადებოდა. გლიუკი ამ ხევში დასახლდა და ღარიბი იმის კარებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმოწყალოთ არ გაბრუნებულა. მისი ორმოები ყოველთვის ჭირნა-ხულით იყო სავსე, სახლში დიდი ძალი სიმდიდრე ჰქონდა. წყალიც ქონდრის კაცის დაპირებისამებრ მისთვის ოქროს მდინარეთ გადა-იქცა.

ახლაც კი უჩვენებს ხალხი იმ ალაგს, საცა გლიუკმა მდინარე-ში სამი წვეთი ჩაუშვა, და საცა ოქროს წყალი მიწის ქვეშ გადის „სიმდიდრის ხევამდე". ჩანჩქარის სათავეში კი ორი შავი ქვა მო-ჩანს. ამ ორ ქვას მზის ჩასვლისას გარს უვლის წყალი და გრგვი-ნავს. მათ ხევის მცხოვრებნი ახლაც „შავ ძმებს" უძახიან.

ჯოტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წულის ცვარი.

ამარჯობა, ცვარო წულისავ,
აგრე საით მიიჩქარი?
მალე ჭპოვებ ქვეყნის გზაზე
მოსვენებას? — ეს მითხარი.

—

„მე დაღალვა როდი ვიცი,
ასე დაჩტის ჩემი გვარი;
ახლაც მშობელ მდინარისკენ
მსიარულათ მივიჩქარი!“

—

— გაზაფხულზე რომ ტეისა და
მთის წვეროზე სარ მიმდგარი,
კომლისავით იქ ბურუსათ
რათ ჭკიდიხარ? — ეს მითხარი.

—

„მაშინ ყველგან სითბო სუფევს,
და იმისგან მეც გამთბარი
უნებლიეთ მივქრი წულიდან
თბილ სხივისკენ, როგორც ქარი“.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზაფხულობით რათ ჩამოდის
მაღლით თქეში, წვიმა, ღვარი,
ეანებსა და მინდვრებს რო რწყავს?
აბა, ცვარო, ეს მითხარი.

—

,,ეანებში რუ, ხო გინახავს?
ის საშშობლო ჩემი არი!
ამიტომაც მიწისკენვე
ვივლტვი ღრუბლით იმ რუს ცვარი"...

—

—ზამთარში სად იმალები,
ცვარ-წვიმა რათ აღარ არი?
უსიცოცხლო ტეე-ველს მაშინ
რათ არ ჭხვდები? — ეს მითხარი.

—

,,ზამთრით მმინავს, განვისვენებ,
მკვდარი ვარ მე და მეინვარი:
რთვილის ბროლათ, თოვლათ ვხდები
ეინვისაგან მე წელის ცვარი".

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემს გარფილდის ცხოვრება.

XIII.

ეორე დილას, ნაჯახით ხელში, ის გამოცხადდა ტყის პირას, ერიოს ნაპირზე. ცის-ფერმა ზვირთებმა, უზარმაზარმა ზღვამ, ურიცხვმა ნაკებმა და ბარქასებმა ისევ შეაცდინა ახალგაზდა გარფილდი, რომელმაც ამას წინეთ ძლივს დაძლია თავის მეზღვეურათ წასვლის სურვილს. შრომის მოყვარე გარფილდი მთელი საათობით უყურებდა გასაოცარ და მომხიბლავ სურათს, რომელმაც ისევ გაუღვიძა თავში ზღვის შესახებ რომანების კითხვიდან გამოტანილი შთაბეჭდილება.

— ადრე თუ გვიან — ამ ტბაზე მაინც ვიცურაებ — ხშირათ ფიქრობდა ის. სხვა შეშის მჭრელებს შორის იყო ერთი გერმანელი, რომელიც დამტვრეულ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდა. ჯემსმა შენიშნა, რომ ეს გერმანელი ვერ ხმარობდა კარგათ ნაჯახს და მუშაობითაც ცქვიტათ ვერ მუშაობდა. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა კვირის ჯამაგირის მილების დროს გამოჩნდა, რომ მას და გერმანელს ორიეს დღეში ორორი საჟენი შეშა დაეჭრათ.

— სწორეთ არ მესმის, როგორ მოხდა ეს! — ეუბნებოდა ჯემსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დას.—დარწმუნებული ვარ, რომ გერმანელის ნაჯახის ერთ შემოქ-ნევაში—მე ორ შემოქნევას ვასწრებ და შეშას კი, მაინც მეტს ვერა ვჭრი!

მაგრამ ჯემსმა მალე აღმოაჩინა ამ საიდუმლოს მიზეზი. თურმე ტბის შვენიერ სანახაობას არაფრათ აფასებდა გულ-გრილი, დუნ-დული გერმანელი და ალიონიდან შუალამემდის დაუღალავათ მუ-შაობდა, ცქვიტი ადვილ-გასატაცი გარფილდი კი მთელი საათობით ტბებოდა მომხიბველელ სურათით და ამის მეტოქე კი შეუმჩნეველათ დროს იგებდა. ამნაირათ, შეშის მჭრელ გერმანელისაგან ჯემს-მა მიიღო ბეჯითობის მაგალითი.

ჯემსი გამოუტყდა დას, ბევრი დრო მეკარგება—გამვლელ-გა-მომვლელ ნავების და მათი იალქნების ნზერაშიო და განეიზრახე ადრე თუ გვიან მეზღვეურათ წასვლაო.

— ამას არ მოველოდი, ჯემს, შენგან! წამოიძახა ხეტამ, მოის-მინა თუ არა ძმის აღსარება.—ალბათ ხუმრობ!..

— სრულიათაც არა, ცოვათ მიუგო ჯემსმა; მაველი ჩემი თავ-მოყვარეობა გემის მმართველათ გახდომით დაკმაყოფილდება.

— ესე იგი—გინდა იყო კაპიტან გარფილდათ, დაცინვის კილოთი შენიშნა დამ.—მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ არასოდეს არ გექნება ეგ ხარისხი.

—შენ, დაო, უთუოთ დაგავიწყდა, რომ ჩვენ წინაპართ შორის ყო-ფილა კაპიტანი ბენიამინ გარფილდი? მიუგო ჯემსმა.

— მართალია, მაგრამ შენც ალბათ დაგავიწყდა, რომ იმ ჩვენ წი-ნაპარს კაპიტნობა ზღვაზე კი არ დაუმსახურია, არამედ ბრძოლის ველზე, როცა ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ომობდენ. ოღონდ მატროსათ ნუ იქნები და სხვა რათაც გინდა იყავი.

— მაშ შენის აზრით ის ემჯობინება, რომ მე რამოდენიმე კაცის მოკვლისათვის მივიღო კაპიტნის ხარისხი, ვიდრე იმისთვის, რომ უცხო ნავ-სადგურებიდან აუარება საქონელი მოვიტანო ჩვენ ახალ-შენებში? ჰკითხა დას ჯემსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემის აზრით, მთელი შენი სიცოცხლე, რომ შეშის მჭრელათ დარჩე—მატროსათ მაინც არ უნდა წახვიდე!—გაჯავრებით დაიყვირა ხეტამ.—მე დარწმუნებული ვარ, რომ დედაც მაგ აზრისაა. ცოდვაა შენებრ ბრწყინვალე ნიჭ-ს პატრონმა მაგისთანა საქმეს მოჰკიდოს ხელი.

რაკი მისი საყვარელი და ასე წინააღმდეგი გაუხდა, გარფილდმა ცოტათი აიცრუა გული თავის უწინდელ მისწრაფებაზე და ისევ გულ-მოდგინეთ თავის საჯარო საქმეს შეუდგა.

ჯემსმა ბედზე ხეტასთან ბევრი კარგი წიგნი და გაზეთი ნახა; მათ კითხვაში ის სიამოვნებით ატარებდა საღამოებს და არც კი ფიქრობდა სხვა-და-სხვა ქალაქის თავ-გასართობებზე, რომელნიც ისე იზიდავდენ მის ამხანაგებს.

სწორეთ 50 დღეს შემდეგ გარფილდმა ჩააბარა ბიძას ასი საქენი დაპობილი შეშა და 50 დოლლარიც მიიღო.

— იმედი მაქვს, მუდამ შეშის მჭრელათ არ იქნება,-გამოთხოვებაზე უთხრა ბიძამ ჯემსს: რა გინდ რომ სასარგებლო იყოს ეგ ხელობა, მაინც, მე მგონია, შენ სხვა მიზანიც გაქვს. ხომ აპირებ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში შესვლას სწავლის დასამთავრებლათ?.

—რასაკვირველია, ბიძა ჩემო,—მიუგო ჯემსმა, თითონ კი ამ დროს ენაზე ადგა: „ჰო, მაგრამ მე ჯერ ზღვაზე უნდა გავისეირნ-გამოვისეირნო!“ თქმა კი ვერ გაებედა: იცოდა, რომ ბიძა ძლიერ გაუჯავრდებოდა და თავი შეიკავა კიდეც.

შინ დაბრუნებისათანავე, ჯემსმა ყველა თავისი ნაშოვი ფული, გარდა იმისა, რაც ხეტას დაუტოვა ბინისა და საჭმელ-სასმელის ქირათ, მისცა დედას. გარფილდისა შვილის დაბრუნებით ძლიერ გახარებული იყო. მხოლოთ მას ერთი საკითხავი აწუხებდა: უკუაგდო თუ არ ჯემსმა მეზღვეურათ გახდომის განზრახვა? მიუხედავათ ამისა ამ საგანზე ბაასი მათ არ განუახლებიათ და ჯემსი კვლავინდებურათ ფერმაში მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV.

ერთხელ ახალგაზდა გარფილდი ძალიან დაფიქრებული, ნაღვლიანი, მოვიდა შინ. დედამ ეს შენიშნა და მიხვდა, თუ რა იყო მიზეზი: მის ვაჟს ზღვა მოსვენებას არ აძლევდა. მაგრამ არა უთქვამს რა.

გაიარა ზამთარმაც. ჯემსი დადიოდა სკოლაში, განაგებდა ფერმას, გაზაფხულზე ჯერ კლეველანდს წავიდა სამუშაოთ, შემდეგ კი, როცა ხვნა-თესვის დრო დადგა, ისევ ძელურს დაუბრუნდა. უძლეველი სევდა უღრღნიდა მას გულს და არ ასვენებდა. ბოლოს საბრალომ ვერ მოითმინა და ივნისის დამდეგში დედას უთხრა:

— დედა ჩემო, არ დამიჯერებ, რა რიგ მხიბლავს და მიზიდავს თავისკენ ზღვა! ნება მომეცი ხომალდზე მატროსათ დავდგე.

— მერე რომელ ზღვაზე გინდა წასვლა? ჰკითხა დედამ.

ამნაირ კითხვას კი სრულებით არ მოელოდა გარფილდი; მას ეშინოდა — დედა ცივ უარს მეტყვისო, მისი სიტყვები კი ამტკიცებდენ რომ გამოეცვალა აზრი შვილის სატრფიალო და საოცნებო საგნის შესახებ.

ამ გარემოებას არ შეეძლო განცვიფრებაში არ მოეყვანა ჯემსი და, თურმე ნუ იტყვით, შესცდა: გარფილდისა მხოლოდ მიხვდა, როგორც გონიერი ქალი, თუ როგორ უნდა შეხვდეს მაგ კითხვას, თორემ ახლაც ძალიან სწყინდა, რომ მისი ჯემსი ასე შეუპოვრათ მისდევს თავის ჟინის ასრულებას.

— ჩემთვის სულ ერთია, სადაც ვიქნები, ვნახო კი, რა ხდება ქვეყნიერობაზე, მიუგო უნებურათ შემკრთალმა ჯემსმა.

— საოცარია, რომ შენისთანა ნიჭიერი ყმაწვილი არც კი დაფიქრებულა იმაზე, თუ სად სურს წასვლა, — განაგრძო გარფილდისამ. მე რომ მოგზაურობა განმეზრახა, წინათვე გარდავწყვეტდი, რომელ ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში გაემგზავრებულვიყავ. ნუ თუ შენთვის სულ ერთია, ევროპაში, აზიაში, თუ ამერიკაში წაგიყვანებენ?

— არა, დედა, სულ ერთი არაა! მე ყველაზე უფრო მწადია ოტლანტიის ოკეანეში თავიდან ბოლომდე გავცურო.

— ჰოო, მერე კი უთუოთ შუა გზიდან მოისურვებ უკან დაბრუნებას, მიუგო გარფილდისამ,—შენ თითონაც არ იცი, რა გინდა.

— მე, ჩემო დედა, ვიცი, რაც მინდა!—მხურვალეთ წამოიძახა ჯემსმა.—საშინლათ მწყურია გავიგო, თუ რას აკეთებენ ხომალდზე. თუ კი არ მომეწონება—უკან დავბრუნდები.

— უკან დაბრუნება ასე ადვილი რიდი იქნება, თუ შენ, მაგალითათ, ხმელთა—შუა ან ჩინეთის ზღვისაკენ გაემგზავრე. არა ერთხელ ინანებ, რომ დედას არ დაუჯერე.—დაასკვნა გარფილდისამ ათრთოლებული ხმით.

— ჯერ გამოვცადო თვითონ, რა დაბრკოლება და სიძნელე მოსდევს ზღვით მოგზაურობას და შემდეგ ვილაპარაკოთ მაგ საგანზე,—ეუბნებოდა ჯემსი.—მაგრამ მერწმუნე, ჩემო დედა, რომ შენ ნებადაურთველათ არსად არ წავალ.

—აბა, ჯერ საცდელათ პატარა ორ ანძიან ნავით იარე ერიოს ტბაზე, თქვა დედამ.—ვინიცობაა, არ მოგეწონა—ადვილათ დაბრუნდები მაინც შინ—ახლოა.

— შენ კი თანახმა ხარ მაგაზე? წამოიძახა აღტაცებისაგან სახე გაბრწყინვებულმა ჯემსმა.

— რასაკვირველია, თანახმა ვარ; ამას არა უშავს-რა. თორემ რომ გაგიშვა ოკეანეში, ხუმრობაა? ტბაზე სიარულის წინააღმდეგი კი ვე არა ვარ!

— შენი ჭირიმე, ჩემო დედა! აბა წავალ ერიოზე, როგორც მოვიცლი,—თქვა გახარებულმა ყმაწვილმა.

გავიდა რამოდენიმე დღე, ჯემსმა შეჰკრა თავისი ბარგი, რომელიც ერთ პაწია გამოკრულ'ში იყო მოთავსებული და მოვიდა დედასთან გამოსათხოვრათ. დედამ ვერ შეიკავა ცრემლები, გადაეხვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს და თავის გულში თხოვდა ღმერთს მალე დაებრუნებია იგი მშიდობით. ჯემსი თამამათ შეუდგა გზას ქვეითათ, რადგანაც ფული ცოტა მიჰქონდა და ჯამაგირის მიღებამდე კი თავი უნდა ერჩინა ამ ფულით. ჩვიდმეტი მილი დღენახევარში გაიარა; მეორე დღეს შუადღისას ის უკვე ცისფერ ტბის ნაპირზე იდგა.

გარფილდი დაუყონებლივ უმახლობელეს ორ ანძიან პატარა ნავის ერდოზე ავიდა და დაეკითხა ვილაც მატროსს—აიყვანებენ თუ არა მას მეხოპეთ.

—აი, მოიცადე, კაპიტანი ახლავე გამოვა და ჰკითხე, უპასუხა მატროსმა.

ჯემსი ელოდა რომ ახოვან, კეთილ-შობილური მოყვანილობის, ზრდილობიან, განათლებულ ვაჟკაცს დაინახავდა, ერთი სიტყვით ერთი იმ კაპიტანთაგანს, რომელნიც მარრიეტის რომანებშია გამოყვანილი.

უეცრივ მატროსმა დაიყვირა: კაპიტანი მოდისო!

იმ კიბეზე, რომელიც ტრიუმიდან (ხომალდის ქვეშა ნიწილია) მოდიოდა რაღამაც ბრდღვინვა და ბღავილი მორთო; შემდეგ ერდოზე თითქო რაღაც უზარ-მაზარი მხეცის ფეხის ხმა მოისმა და ერთი მეორეზე უფრო უმსგავსი და საზიზღარი სიტყვები სეტყვასავით თავზე დაეყარა მატროსს.

გარფილდი გაშტერდა, მიიხედ-მოიხედა, რას ხედავს—ტრიუმის ბნელ ამოსავალიდან პირდაპირ მისკენ მოაბოტებს რაღაც გამოუცნობი: არც კაცია, არც კასრია; პირისახე დასვებია, წითელი ფერისაა, ფეხები უკანკალებს, არაყს სუნით აყროლებს იქაურობას—ერთის სიტყვით რაღაც საზიზღარი ცხოველია.

—თქვენ ბრძანდებით კაპიტანი? —ჰკითხა ჯემსმა ლ ზრდილობიანათ თავი დაუკრა.

— მე ვარ. მერე რა გინდა?

— მეხოპე ხომ არ გჭირიათ თქვენი ნავისთვის? მე დაგიდგებით.

— წადი შე, ძუძუ-მწოვარა შენა!—დაიღრიალა რაც ძალი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონე ჰქონდა უფროსმა და თან საშინელი გინება მოაყოლა.

—დამეკარგე აქედან ახლავე, თორემ მე შენ ვიცი სადაც გიკრავ თავს.

ჯემსმა იფიქრა ბოდიშს მოვიხდიო, მაგრამ მძვინვარე მხეცი მუშტებით გამოექანა მისკენ და ხრინწიანი ხმით, შეშლილივით დაიბღავლა.

— გასწი აქედან, თორემ ესარი გაგათავე! უყურებთ? ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია და მეხოპეთ დადგომას აპირებს! ვითომ მე ჩემი ნაკი არ მებრალება? მიბრძანებ შენი გულისათვის დავლუპო? ა? დაიკარგე-მეთქი.

და კვლავ უწმაწური ლანძღვა-გინება დაიწყო.

გარფილდს ისე შეეზიზღა ამ კაპიტანის ყურება, რომ ფიცხლავ მოჰკურცხლა და გონს მოვიდა მხოლოთ მაშინ, როცა ნაპირზე ძელების გროვებს შუა გაჩნდა. ჩამოჯდა აქ, ცოტათი დამშვიდდა. ამოიღო გამოკრულიდან სანოვაგე და ისაუზმა. როგორ გაუცრუვდა იმედები! თუ ყველა კაპიტნები ამ გალექებულ პირუტყეს გვანან, ფიქრობდა ჯემსი თავის გულში, ვერაფერი სასიამოვნო ყოფილა ზღვაზე ცხოვრება! მაგრამ ვინ იცის ეგებ წესიერათ ვერ გამოვეცხადე: ღარიბულათ მაცვია, თითქმის ტიტველი ვარ და მგონი ქუჩის ბიჭათ ჩამაგდო იმ კაცმა. იქნება ესე უნდა მეთქვა: „მე მეფერმე და შეშის მჭრელი გახლავართ, ნაცარ-ტუტის ხარშვა ვიცი, სასიმინდესაც ავაშენებ“.—არა, თვითონ მე დავამავე ყველაფერში. მართალია, კაპიტანსაც გვარიანათ გადაუკრავს, მაკრამ მეც ხერხი დავაკელი; სხვანაირათ უნდა მეჩვენებინა თავი.

გაათავა თუ არა საუზმე, გარფილდმა ნავთ-სადგურზე სიარული დაიწყო; არ იცოდა რა ექნა, რა მოეფიქრებინა. ამ დროს ნაცნობი ხმა მოესმა:

— ჯემსო, ჯემსო!

გაიხედა, ტბიდან გაყვანილ არხზე ირხევა ბარქასი; ბარქასზე ამოს ლეტჩერი, ამის ბიძაშვილი, გადაწოლია კიდურს და თავს უკრავს, თანაც იცინის. რასაკვირველია, მათ შეხვედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისათანავე დაიწყეს ბაასი; ჯემსი მოუყვა ამოსს, თუ რანაირის ალერ-სით შეხვდა მას ორ ანძიანი ნავის კაპიტანი. ამოსმა გადაიხარხარა და ურჩია დამდგარიყო მის ბარქასზე „გამრეკათ“.

— როგორ? წამოიძახა გარფილდმა, განა ეგ ბარქასი შენია?

— მაშ? მე გემის კაპიტანი გახლავარ; პიტსბურგს ვერცხლი დაგვაქვს; ბარქასი ნიჩბებით დაჭყავთ, და გარდა ამისა, ნაპირ-ნაპირ ოთხი ჯორიც მიათრევს. ამ ჯორებისთვის გამრეკები გვყავს, რომელნიც რიგ-რიგათ ასრულებენ თავის მოვალეობას: სანამ ერთი ისვენებს, ჭამს და აჭმევს თავის ორ ჯორს, მეორე მუშაობს. თითო მათგანი იღებს თვეში 12-ს დოლლარს.

— თანახმა ვარ მაგ ადგილზე დადგომის, კაპიტანო ლეტჩერ, პირობებიც მომწონს; ვეცდები რიგიანათ გემსახუროთ.—თქვა ჯემსმა.

— მე კი მეტ შრომას მოგთხოვთ, უპასუხა იმავე საქმიანი კილოთი კაპიტანმა. ხვალ დილით ჩვენ გზას გავუდგებით. დროს უბრალოთ ვერ დავკარგავთ.

— ძალიან კარგი.

იმ დროში დიდი არხი იყო გაყვანილი ერიოს ტბასა და ოგიოს მდინარეს შუა. ეგრეთ წოდებული „ზემო ტბის“ მახლობლათ მდებარე სპილენძის მადნებიდან ლითონი ჯერ კლეველანდში გაჰქონდათ ნავებით და ბარქასებით; აქედან კი არხით პიტსბურგში. ლეტჩერის ბარქასს „მწუხრის ვარსკვლავი“ ერქვა. მის ეკიპაჟს რვა კაცი შეადგენდა: კაპიტანი, ლოცმანი, ორი მესაჭე, ორი ჯორების კამრეკი და ერთიც მზარეული. ლოცმანს ბარქასი ისე უნდა წარემართა, რომ სხვა გემს არ დასტაკებოდა და ხაფანგებში ფრთხილათ გასულიყო. კაპიტნის გარდა ყველა ესენი უზრდელი, უმეცარი და ლოთები იყვენ. სარწმუნოება და ზნეობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ყოჩაღათ მათში ის ითვლებოდა, ვინც ყველა ამ ხანაგებზე მეტს დალევდა და ყოველათ უმსგავს და უწმინდურ სიმღერას იტყოდა. ჯემს გარფილდისათვის ამისთანა ამხანაგობა ვერ იყო სასიამოვნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დილას კაპიტანმა ყველა ალიონზე ააყენა. ჯემსს აუხსნეს—რაც უნდა ექნა და გააფრთხილეს:—დღეს ნაშუადღევს პირველი ხაფანგი უნდა გავიაროთო. ჯემსი, როგორც მორიგი გამრეკი, პირველათ უნდა გაჰყოლოდა თოკს; თავში საქმე კარგათ მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელათ, შორიდან, დატვირთული ბარქასიგამოჩნდა ზპირდაპირ, თითქო დაჯახება სურსო, მათკენ წამოვიდა. ჯემსს დიდი ოსტატობა უნდა ეხმარა, რომ ორივე გემის თოკი ერთმანეთს არ გადახლართოდა, მით უმეტეს, რომ გზაზე ხიდი შეხვდებოდათ. ჯემსი აჩქარდა, მაგრათ მოსწია თოკს; თოკი ხელიდან გაუსხლტა და ჯორებიანათ წყალში გადავარდა. მოისმა საშინელი ყვირილი. კაპიტანს შეეშინდა, ბარქასზე ვინც კი იყო ყველა მისაშველებლათ გარბოდა. გამრეკი და ჯორები წყლიდან უვნებლათ გამოათრიეს. რასაკვირველია, ამის შემდეგ სიცილს და ოხუნჯობას ბოლო აღარ ჰქონდა. თვითონ გარფილდი ამბობდა:—ეს დილის აბანო იყოვო და ძალიანაც მარგოვო, მაგრამ მასხარა—ამხანაგები დიდხანს მოსვენებას არ აძლევდენ.

— დახეთ! ჯორებს ტანის დაბანა მოუნდომა,—გაიძახოდა ერთი.

— ჩვენში, ჩემო ძმაო, ყოველთვის ასე ეწრთვნით ახლებს,—ამბობდა მეორე.

— ხომ არ გადაგიკრავს, კაცო? ახელებდა მესამე.

ჯემსიც მოსწრებულათ და მხიარულათ უგებდა პასუხს. მთელი დღე ეს შემთხვევა სალაპარაკოთ და საოხუნჯოთ ჰქონდათ ბარქასზე მყოფთ.

როდესაც ბარქასი პირველ ხაფანგს მიუახლოვდა, კაპიტანმა ჯემსი თავის ჯორებიანათ გემზე გადაიყვანა და მეორე უფრო გამოცდილ გამრეკს მიანდო მისი საქმე.

მთელი ეს სალამო კაპიტანმა და ახალმა მატროსმა ამერიკის სკოლებზე ესაუბრეს. ლეტჩერი თურმე, სანამ კაპიტანი გახდებოდა, ინდიაში მასწავლებლობდა; ამაყობდა კიდეც ამით და თავის თავს ძალიან განათლებულ კაცათ თვლიდა. ბოინტონებისაგან გაგონილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა, რომ ჯემს გარფილდი ჩინებულათ სწავლობდა ოგილის სკოლაში და მოისურვა თვითონ დარწმუნებულიყო, რამდენათ მართალი გამოდგებოდა ეს. ამიტომაც უთხრა ჯემსს,—მოდი გამოვცადოთ ერთმანეთი არითმეტიკაში, გეოგრაფიაში და გრამმატიკაშიო. ჯემსი სიამოვნებით დათანხმდა. ლეტჩერს წინდაწინ უხაროდა—ჯემსს პირველ კითხვაზედვე შევარცხვენო, მაგრამ სულ სხვა აღმოჩნდა, ჯემსი მკვირცხლათ და სწორეთ უგებდა პასუხს ყველა კითხვებზე.

— რა ყოფილხარ, ძმაო, შენ!—წამოიძახა კაპიტანმა.—ყოჩაღ! არ მოველოდი სრულებით. შენ არ შეარცხვენ შენ ნათესაებს. მე შემიძლია ვიამაყო, რომ შენისთანა ბიძაშვილი მყავს.

კაპიტანს კი გლახა დღე დაადგა, როცა მის გამოცდის დრომაც მოაწია: ვერც ერთ კითხვაზე ვერ გასცა პასუხი.

— გამეცალე, თუ ღმერთი გწამს, აქედან! უთხრა მან გარფილდს მხიარულათ, თუმცა ნათლათ ემჩნეოდა, რომ ცოტა არ იყოს რცხვენოდა.—შენი საქმეა—სამასწავლებლო კათედრა და არა ნავებზე სიარული და შეშის ჭრა. მოისმინე ჩემი კეთილი რჩევა, დაეთხოვე მაგ ოცნებებს ზღვის სამსახურზე, დაბრუნდი შინ, დაიჭირე მეორე ხარისხის მასწავლებლის ეგზამენი, შემდეგ დადექი მასწავლებლათ და სემინარიაშიაც შედი. დედა შენი დიდი წინააღმდეგია ზღვაზე მოგზაურობის. შენ მასწავლებლობით უფრო მეტს სარგებლობას მოიტან ვიდრე ნავზე სამსახურით.

ბატუა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსი.

(ჩაწერილი თ. კანდელაკისა. კოტე ჩუბინაშვილის ნათქვამი)

ეჯილო. ნაზათ აღზრდილო,
გიხდება ულვაშ-წვერია;
მაგრამ თან დაგდევნებია
ოოველი შენი მტერია.
შენ ჩრდილ ქვეშ გამოგიზრდია
ჭია-ღუა და ძწერია;
თეთრათ მოსულხარ—ძწიფეთა,
თავს გადგას ნამგლით მმკელია;
მკლავზე იწუობენ სელეურს,
თან მოგდევს კონის მკვრელია;
კალოზე რომ მოგიტა-ენ,
იქ გელის ხმელი კევრია;
ცხენები გამოჭიმული,
ხარი, კამეჩი ბევრია;
არნადით შეგაგროგებენ,
ცოცხით შემკველი ბევრია;
გეხვევა ხალხი მრავალი:
ღვდელი, ბერი ლა ერია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰურო, უფლისგან ნაკურთხო,
სუფველა შენი მტერია;
ჰურო, შენა ხარ ქებული,
გაქვს კაი საძირკველია,
უშენოთ სახლი არ ვარგა,
შენა ხარ მასჰინძელია!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენი.

მეფე

ველათ ურიებს ერთი მეფე ჰყავდათ. ამ მეფეს სოლომონი ერქვა და საკვირველი ბრძენი კაცი იყო. აი რაში გამოიჩინა მან თავისი სიბრძნე.

მის საბრძანებელში, თურმე, ორი დედაკაცი ცხოვრებდა ერთათ; ორივეს თითო თანა-ტოლი შვილი ჰყავდათ. ერთს ღამეს ერთმა მათგანმა ძილში უცაბედათ გამოახრჩო თავისი შვილი. როცა გამოელვიძა, ადგა და თავისი მკვდარი შვილი ჩუმათ მეორე დედა-კაცს მიუწვინა, მისი ცოცხალი ყმაწვილი კი თვითონ აიყვანა.

დილას საშინელი ჩხუბი გამართეს, რადგანაც ცოცხალ ყმაწვილს ორივე ჩემობდენ და ერთმანეთს არ ანებებდენ.

მერმე ადგენ და მეფესთან წავიდენ საჩივლელათ. როცა ისინი მივიდენ, მეფე სოლომონი ტახტზე ბრძანდებოდა, ხალხი გარს ესვია და ასამართლებდა.

დედა-კაცები იახლენ მეფეს, თანაც ერთი ცოცხალი და ერთი კვდარი ყმაწვილი მიიყვანეს და იჩივლეს. ცოცხალ ყმაწვილს ორივე ჩემობდენ. მოწმე არავინ იყო, რომ ეკითხათ, რომელს ეკუთვნოდა ის ცოცხალი ყმაწვილი. ძნელი იყო სიმართლის გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სოლომონ ბრძენი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერმე ბრძანა:

—მოიტანეთ სანჯალი, ეს ცოცხალი უმაწვილი შუაზე გაჩეხეთ და ნახევარი ერთ დედა-კაცს მიეცით, ნახევარიც მეორესო.

ყველანი სმენათ გარდაიქცენ, — უკვირდათ, ეს რა ბრძანა მეფემაო.

მაგრამ, როცა მეფის ბრძანება იმ უმაწვილის ნამდვილმა დედამ გაიგონა, საშინელი ელდა ეცა, ტირილი დაიწყო საბრალომ და შეევედრა მეფეს, ოღონდ კი ნუ გაჩეხავთ და არ მინდა, მაგას ჭეავდესო. მეორე დედაკაცს კი ჰირ-იქით იამა ეს ამბავი და სიხარულით წამოიძახა:

—ძრიელ კარგი, გაჩეხეთ, ნურც მე მეყოლება და ნურც მაგასო.

მაშინ ყველა ადვილათ მიხვდა, რომელი დედაკაციც იყო ცოცხალი უმაწვილის ნამდვილი დედა.

რალა თქმა უნდა, ბავში იმ დედა-კაცს მისცეს, რომელსაც ებრალებოდა იგი, მეორე დედაკაცი კი გააგდეს და თავისი მკვდარი შვილიც თან გაატანეს.

მეფე სოლომონის ასეთმა სიბრძნემ ყველა ძრიელ გაკვირვა და შემდეგ მისი სახელი განითქვა მთელ ქვეყანაზე.

გ. წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვთა ჭკუა-გონება.

ამინელი ქარიშხლიანი დღე იყო და ზღვა განრისხებული ღელავდა. ზღვის ნაპირას ხალხი იდგა ჯგუფათ და გულ-გახეთქილი შეცქეროდა ხომალდს, რომელიც საშიშარ კლდეს მიდგომოდა. მოისმა ჭახა-ჭუხი, — იმედი გაჰქრა, — ხომალდი წყალმა დაძირა... ამ დროს შორს წყალში გამოჩნდა რაღაც შავი წერტილი, რომელიც თან და თან ნაპირს უახლოვდებოდა. მალე გაარჩიეს ძაღლი, რომელსაც პირით ცოცხალ-მკვდარი პატარა ქალი მოჰყავდა. ძაღლი ცდილობდა წყალს ზევით დაეჭირა ტვირთი. იმდენხანს ებრძოლა ძაღლი მრისხანე ტალღებს, სანამ ნაპირზე გამოვიდოდა. როცა მშრალზე გამოიყვანა ბავში, ძაღლმა თვალი გადააცლო ხალხს და ვილაცას დაკვირვებით ათვალიერებდა. ბოლოს მივიდა ერთ ბერიკაცთან და ბავში მის წინ დასვა. ეტყობოდა, რომ მარტო ამ ბერიკაცმა დაჰბადა ძაღლის თვალში ყველაზე მეტი ნდობა და არც მოტყუვდა: ბერიკაცმა აიყვანა და გაზარდა ეს ბავში. ძაღლი ალარ მოშორებია თავის დახსნილს და ყოველ ნაბიჯზე უკან დასდევდა, მეტადრე როცა ის ზღვის ნაპირისაკენ წავიდოდა. ღელვის დროს ძაღლი ყეფით უხმობდა თავის პატარა ქალბატონს შინისაკენ და თუ ის წინააღმდეგობას გაუწევდა, კაბაზე პირს წაავლებდა და შინისაკენ მიათრევდა ხოლმე... ბოლოს ამავე ძაღლის შემწეობით ბავშის დედაც გამოჩნდა. დედა დაღუპულ გემზე არა ყოფილიყო, რამდენიმე წელს შემდეგ ის შეხვდა ზღვის ნაპირას ძაღლს და იცნო ისიც და თავისი შვილიც.

— ძაღლი რომ უანგაროა და საკვირველი მოფიქრება შეუძლია ამას შემდეგი შემთხვევაც გვიმტკიცებს. ერთ მემამულეს ჰყავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძაღლი, რომელიც გაწრთნილი იყო კურდღლის ძებნაში და დაჭერაში. როცა მონადირეები და მწევარ-მეძებრები კურდღელს გამოუდგებოდენ, ის ხერხიანათ იჭერდა ამ ნადირს და მოჰყავდა თავის პატრონთან. მაგრამ ის კი არ მოსწონდა, გულ-ნაკლულათ და წყენით შეცქეროდა თავის პატონს, რომელიც, ყოველთვის მონადირეებს უცდიდა და ზრდილობიანი თავის დაკვრით ეზა მზარეულ ნანადირევს იმათ მიართმევდა ხოლმე. ერთხელ, როცა მწევარ-მეძებრების ყეფა და მონადირეების ხმაურობა შემოესმა, ძაღლი ჩვეულებისამებრ გაექანა სანადიროთ, მაგრამ ახლა კი ხელ-ცალიერი, უკურდღლოთ დაბრუნდა და თავის ქალბატონს დაუწყო ლაქუცი, ფერაობა, კუდის ქნევა და რაღაც მოუსვენრობა აგრძნობინა. როცა ნადირობა გათავდა, ძაღლმა ყეფით გააცილა მონადირეები და რაკი ისინი თვალიდან მოიშორა, თავის ქალბატონს კაბაში წევა დაუწყო, თითქო მინდერისკენ იწვევდა. ის გაჰყვა, ძაღლმა მიიყვანა ერთ სქელ ჯაგთან და დაანახვა კურდღელი, რომელიც ამ ძაღლს მოეკლა და იქ დაემალა. როცა ქალბატონმა კურდღელი შინ წაიღო, ძაღლის სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. ის ჰყეფდა, ხტოდა და სხვა-და-სხვა ნაირათ ცდილობდა სიამოვნების გამოჩენას: სურვილი აისრულა, რადგანაც კურდღელი იმის ქალბატონს უნდა მიერთმია.

— ერთ ბრმა მათხოვარას პატარა ძაღლი ჰყავდა, რომელსაც საყელოზე თოკი ება, ამ თოკის წვერი მათხოვარას ეჭირა ხელში და ისე დასდევდა უკან. ბრმა ჯერ ჭიანურს დაუკრავდა, რომ ხალხი მიეზიდნა, მერე მოიხდიდა ქუდს, გადასცემდა თავის ოთხ-ფეხ მსახურს და ის სამოწყალოს აგროვებდა. გასაკვირველია, რომ ეს ძაღლი ყოველთვის პირს არიდებდა იმათ, ვისგანაც არას გამოელოდა. როგორა ცნობდა ამგვარ ხალხს და არჩევდა კეთილთ ბოროტთაგან, ეს იმისი საიდუმლო იყო. ამგვარ სამსახურში დაბერდა ის. როცა ბატონი მოუკვდა, იმან მაინც განაგრძო ეს ხელობა, მაგრამ ახლა თავისთვის თხოულობდა. დადგებოდა უკანა ფეხებზე სახ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლის, ან გამეელ-გამომელელის წინ და ვინც კი იცნობდა იმას და ახსოვდა მისი ერთგული სამსახური, არავინ უჯავრდებოდა, დიდის სიამოვნებით გაიკითხავდა. ეს ძაღლი თავის პატრონის სასაფლაოზე ხშირათ დადიოდა და ახალი ბატონის ამორჩევა აღარ მოუნდომია.

ზოგიერთ უცხო ქვეყნებში გასართობათ ვირ-თაგვებზე ნადირობაა შემოღებული. ამგვარ ნადირობაში პატარა ძაღლები გამოჰყავთ, რომელთაც თაგვების მჭერელ ძაღლებს ეძახიან. თამაშა იმართება რომელიმე შემოღობილ ადგილას, სადაც იკრიბება უფრო ხშირათ დაბალი ხალხი. ერთი ძაღლი ძალიან შესანიშნავი და სახელ-განთქმული იყო ამგვარ ნადირობაში. გამოანგარიშებული ჰქონდათ, რომ იმას თავის სიცოცხლეში სცენაზე 5000 მავნებელ ვირ-თაგვასთვის მოესპო სიცოცხლე. სანამ ჯანი და ღონე შესწევდა, ეს ძაღლი ისეთი სისწრაფით დარბოდა, დასდევდა ვირ-თაგვებს, რომ ძნელათ გაარჩევდა კაცი იმის თავს კუდისაგან. სიბერის დროს რომ ასპარეზობიდან გადადგა, მოხერხებულ ადგილს აირჩევდა ხოლმე და იქიდან კატასავით უდარაჯებდა ვირ-თაგვებს. ბევრჯელ ორ-სამ საათობით მოთმინებით უდარაჯნია თავის მტრის სოროსთან და იშვიათათ დაბრუნებულა თავის ბუნაგში უკმაყოფილოთ. მაგრამ ამ ნადირობის ტრფიალებას კი შესწირა თავი საბრალო ძაღლმა. ერთხელ ის დაკეტილ ოთახში იყო და მეორე ოთახიდან თაგვის ფუს-ფუსის ხმა შემოესმა. იმისი დაჭერის სურვილი ძლიერ აღეძრა და ეს რო ველარ მოახერხა, იმ ზომამდე შეწუხდა საწყალი ძაღლი, რომ მღელვარებისაგან კანკალი მოუვიდა, ციებ-ცხელებამ აიტანა და საფლავისაკენ გაამგზავრა...

— ერთი მეტათ გონიერი ძაღლი იყო, რომელსაც ორმოცზე მეტი ადამიანი დაეხსნა სიკვდილისაგან. ის ყოველ ქარიშხლიან დღეს გამოვიდოდა უდაბნოდან და გზა-გზა თოვლისაგან წანამქრულ მგზავრს ეძებდა და თუ ვინიცობაა თვითონ ველარ მოახერხებდა იმის შველას, შინ გამორბოდა და უდაბნოს ბერებს ატყობინებდა: რომ ისინი მიშველებოდენ. ერთხელ ეს ძაღლი წააწყდა პატარა ბიჭს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც დედა ისეთ ხრამში გადავარდნოდა, რომ იმისი პოვნა ყოვ-ლად შეუძლებელი იყო. სიცივისა და შიმშილისაგან შეწუხებული, მწუხარებითა და დაღლილობით დატანჯული ბიჭი ქანც მიწყვეტილი ეგდო შუა გზაზე და გულ-ამომჯდარი ტიროდა. ძაღლი მიეარდა იმას და ანიშნებდა ყელზე შებმულ ჭურჭლიდან სასმელი დაელია. ბიჭი ვერ მიხვდა იმის განზრახვას და შეშინებულს მოშორება უნდოდა. მაგრამ ძაღლმა მის გასამხნევებლათ და დასამშვიდებლათ თათი აიღო, ფეხებზე დაადგა და სიცივისაგან დაბუხულ ხელებს ლოკვა დაუწყო. ამ ტკბილ ალერსის დამნახავმა ბავშმა თავის თავს ძალა დაატანა ზეზე წამომდგარიყო, მაგრამ ვერ შეძლო, რადგანაც ხელ-ფეხი სულ გაჰყინოდა. ძაღლმა შეიტყო ბავშის სისუსტე, მიეხუტა იმას და თავის ქნევით გააგებინა ზურგზე შეჯდომა. ბავში მიხვდა და ძლივს-ძლივობით აბობღდა ზურგზე; ძაღლმა დიდის სიფრთხილით მიიყვანა ის ბინამდის, სადაც იმ წამსვე ყოველი ღონე იღონეს იმის გასათბობათ და მოსასულიერებლათ.

— ერთ კაცს ჰყავდა ძაღლი, რომლისთვისაც არასოდეს არ უცემია: საკმაო იყო ერთი მრისხანე თვალით გადაეხედნა, ამაყი სიტყვა ეთქვა და ძაღლი მთელი დღე დამნაშავეთ გრძნობდა თავს. ერთხელ ეს კაცი სხვაგან წავიდა და ძაღლი თავის ძმას ჩააბარა. როცა ძმა სასეირნოთ წავიდოდა ხოლმე, ძაღლს თან გაიყოლებდა და ძაღლსაც ძალიან უყვარდა ამგვარი სეირნობა. ერთხელ ძაღლი როგორღაც გაერთო გზაში სხვა ძაღლთან; პატრონის ძმამ დაუძახა, მაგრამ იმან ყური არ უგდო; მაშინ ის მიეიდა და ოდნავ ხელთათმანით წაუცაცუნა. ძაღლს ამითი სრულიათაც არა ტკენია-რა, მაგრამ რაკი ცემას დაჩვეული არ იყო, საშინლათ ითაკილა; გაკვირვებით გადახედა თავის შეურაცხ-მყოფელს და შინისაკენ მოკურცხლა. მეორე დღეს კაცი ისევ წავიდა სასეირნოთ და ძაღლიც თან წაიყვანა. ის ცოტა ხანს გაჰყვა ქუჩაში, ერთი მედიდურათ გადახედა და შინ დაბრუნდა. ეს იყო და ეს, არას დროს აღარ გაჰყვებოდა ხოლმე, იმას სასეირნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მზარეული სამზარეულოში ქათამსა პტყვნიდა. იქვე ძაღლი იწვა და ცეცხლზე თბებოდა. მზარეული რაღაცასთვის კარზე გამოვიდა და ქათამი იქვე ფიცარზე დადო. ძაღლმა იდროვა, ქათამს პირი დაავლო, ეზოში გაარბეინა, ხის ფულუროში დამალა, ისევ სამზარეულოში შემობრუნდა და საცა იწვა, იქვე ცეცხლაპირას წამოწვა, ვითომ და აქ არაფერიაო. მზარეული შემობრუნდა და ვერ გაიგო სად გაქრა ქათამი; აბა, ძაღლზე რა ეჭვს აიღებდა! უსათუოთ ძაღლი მაღიანათ შეაკნატუნებდა მსუქან დედალს, თუ რომ ერთ-ერთ მოსამსახურეს არ დაენახა მისი ქურდობა. ჩვენი ქურდი, რასაკვირველია, გაწკეპლეს ამ ავ-ხელობისათვის და იმანაც ამას შემდეგ „ხელ-ბრუნდობა“ მოიშალა.

— ერთი ძაღლი შეეჩვიეს მებულკესთან სიარულს. ის დაიჭერდა კბილებში კაპეიკს, რომელსაც აჩუქებდა თავისი პატრონი, მიირბენდა მებულკესთან, მისცემდა ფულს და გამოართმევდა ბულკს. ერთ-ხელ მებულკემ ფული გამოართვა, მაგრამ ბულკი არ მისცა. ამას შემდეგ ძაღლი მივიდოდა თუ არა ფურნეში, დასდებდა ფულს იატაკზე და მანამ არ დაანებებდა, სანამ ბულკს არ მისცემდენ...

— ერთი მონადირე წავიდა სანადიროთ და თან ძაღლი გაიყოლა. წყალ-გალმა დაინახა ორი გარეული იხვი, ესროლა ორ-ლულიანი თოფი და ორივე ერთათ დასჭრა. ძაღლი შეცურდა წყალში იხვების გამოსატანათ. იქით ნაპირას რო გავიდა, ორივე იხვი ერთათ უნდოდა გამოეტანა, მაგრამ გზაში ერთმა ფთხრიალი დაიწყო და გაფრენას აპირებდა. ძაღლმა მაშინ ის ერთი წამოიღო და მეორე ნაპირას დააგდო. ახლა მეორე იხვმა დაიწყო ფთხრიალი და წყალში ჩავარდა. ძაღლი იმ წამსვე დაბრუნდა, პირში რო იხვი ეჭირა, ის ნაპირზე დააგდო და მეორე წამოიღო; მაგრამ პირველმაც ისევ ფართხალი დაიწყო და გაფრენასა ცდილობდა. ძაღლმა სტაცა ამას პირი, შედგა და ორივე იხვს დააცქერდა, ცოტა ხანს ფიქრს მიეცა, თუ როგორ მოქცეულიყო. უცბათ მოუვიდა იმას შემდეგი ფიქრი და შეასრულა კიდეც: ერთი იხვი დაარჩო და დააგდო ნიპირას, მეორე კი ცოცხლათ მიუყვანა თავის ბატონს; მერე ისევ გაბრუნდა და მკვდარი იხვიც გამოუტანა.

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგვის-ყურა.

იგავი

(ფრანგულიდან)

ალისის მზემ გაშალა ბაღში ათას ფეროვანი შვენიერი ყვავილები.

—წავიდეთ ჩქარა, მოვკრიფოთ ყვავილები, გავაკეთოთ თაიგული, ვირონდენ ჰატარა ქალები და გარბოდენ ბინდორზე, რომ ბაღში მისულიყვენ.

—მე ეს მინდვრის ყვავილები უფრო მომწონს, თქვა ჰატარა ქერა მარსელამ,—რა შეედრება ამათ. სოფლის ბავშებივით ესენი ნაზები არ არიან.

—აბა, ვნახოთ ეგ შენი ნაქები მინდვრის ყვავილები... უი, სირცხვილო! ეს ხომ თაგვის-ყურა ყვავილია; ჩაყვითლებული, მზისაგან დამჭკნარი. მართალია გაზაფხულზე რომ თაიგულებს ვაკეთებდი ამითიც შევამკობდი ხოლმე კონას. აქამდის კიდევ ცოცხალი ეოფილა? და ის იყო დაუდევარ, შავგვრემან ანნას უნდოდა გაესრისა ყვარგისი ყვავილი, რომ მოესმა:

—აი, შე უმადურო, ემაწვილო! როდესაც ცა მოღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შული იყო, ჯერ კიდევ ცოცდა და მე რომ ჩემ თეთრ თავს ამოვეოფდი სველ მიწიდან, მაშინ ხომ კარგი ვიყავ, თავსაც მევლებოდი, მაშინ თქვენთვის ხომ გაზაფხულიც ვიყავ და ყოველი სიკეთის მომნიჭებელიც. შენ თითონ არ იყავ, ანნავ, რომ მიმარბეინებდი თაიგულისათვის, ოქროს ჭიქაში გამომჭიმამდი და ჩემით რთავდი შენ საყვარელ ოთახს.

—მართალს ამბობს, თქვა მარსელამ და ფრთხილათ მოგლიჯა ყვავილი, რომ ფურცლები არ გაფანტულიყო.

—ნუ თუ გინდა ჩვენ შვენიერ თაიგულში ჩაურიო ეგ დამჭკნარი ყვავილი? - ჰკითხა ანნამ.

—არა, წიგნში ჩავდებ და უფრო შემენახება.

გასართობი.

ვატარა ემაწვილმა ჩულქი გადააბრუნა და ისე იცვამდა. ჰკითხეს:

—რათა შვრები მაგასო?

—დაგლეჯილია და იმიტომ გადავაბრუნეო.

* * *

ბამამ შეუტანა ახალ ნავაათმეოფარს შვილს ორი შვენიერი ატამი და უთხრა:

—ეს ერთი დღესა ჭამე და მეორე ხვალაო.

ვატარა ხანს შემდეგ ბავშმა უთხრა დედას: „მომაწოდე ატამიო“! დედამ მიიხედ-მოიხედა და თქვა:—აქ ერთის მეტი არ არი, ხომ არ შეგიჭამიაო!

—მე ხვალის ატამი შევჭამე, დღევანდელი ჯერ არ მიჭამიაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვრილმანი.

ხალხური ლექსები

შარშან დიდი მარხვა იყო,
წრეულს დიდი აღებაო;
როგორც პურის ჭამა გვინდა,
ისე სუფრის აღებაო.

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

ადიდებულა ტანაო,
თან მღვრიე მოიტანაო;
ამიტივტივა, წამილო,
შუა მტკვარს ჩამიტანაო;
იქ სამი ჭადი დავკარგე,
ზარალი ამისთანაო;
მცურავთან კაცი გავგზავნე,
მან იგი მოიყვანაო,
სანამ მცურავი მოვიდა,
ჭადი შიგ ჩაიმალაო;
მე მაშინვე მუხლს მომკვეთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელს დანა გამეყარაო,
იმ ჩემი სამი ჭადისა
ამბავი მომიტანაო.

სამწყერაოთ კვარხითი ჯობს,
საპურ-ლეინოთ კირბალ-ზერტი;
ახრისს კარგი ყანა იცის,
ნანეხვია მეტის-მეტი;
ბერშუეთი ყველასა ჯობს,
მაგრამ ბატონი ჰყავთ ცეტი;
მეჯერისხეველმა ბიჭებმა
მას თავს დაახვიეს რეტი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი ი. ასათიანისაგან).

ხე რა იქნება მისთანა, უმიწოთ ამოდიოდეს;
არც უნდა შენი შელობა, არც მიარწყვა მოუნდებოდეს,
შვიდ წელიწადში ერთხელა ფესვიდან შეინძრეოდეს.

ქვესკნელს წითელი ნავარდი,
ორიე ფეხები განზედა,
ვინც ამას არ გამოიცნობს,
ადგეს გავიდეს კარზედა.

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

პატარა ეკლიკუდაო, კარებზე მიეყუდაო.

ას თვალა და გრძელ კუდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

დათვო, მსხალი გიმწიფსო, —კიდეც მიჭირსო.

კოჭლმა ძაღლმა, რომ კურდღელი გამოაგდოს დაჭერაში ჩაეთვლება.

მჭედელო, შენსა რკინასა თითბერი არ გაერევა,
თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაელევა.

ზ მ ა

ზოგ ზოგს რა უშავთ ელით ზაფხული
ჩვენ კი გარშემო სევდა გვწევია.

ა მ ო ც ა ნ ა.

200	200	5000	4
6	30	100	4
2	100	4	2

ამ უჯრებში ჩასვით ციფრების მაგიერათ ქართული ქორონიკონი ისე, რომ გამოვიდეს რომელიმე ქართული ანდაზა.

მატემატიკური გამოცანა

(წარმოდგენილი მესხისაგან).

მე ვიყიდე ხუთი მანეთის წიგნები, მეწიგნეს 25 მანეთიანი მივეცი. მან ნაშალი სრულიათ მომცა. დამიბრუნა სულ ცხრა ქაღალდის ფული. გამოიანგარიშეთ რა ქაღალდის ფულები მივიღე მეწიგნესაგან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თ. კარდელაკისაგან).

ფრინველი არის ველური, აქვს ორნაირი სახელი;
გალიაშიც ჰყავთ ზოგი ერთს, ყველა იქნებით მნახველი.
გადასვ-გადმოსვით აქა-იქ, ამ სიტყვის ყველა მარცვალი.
და ჯერ ტან-საცმელს მიიღებთ, რომელსაც ხმაროობს მრავალი.
შემდეგ შენობის ერთ ნაწილს, თუ ჩაუმატებთ უხმოსა,
ამ სიტყვას ჩვენი მწერლობა კიდევ სხვა სახელს უხმობსა:
პირველს, მესამეს წაართვი, თითო მარცვალი თავ თავსა,
ცხერის ჯოგის სახელს მიიღებთ, იარაღს ძაფის სართავსა.

2

პირველი სიტყვის პატრონი გახდება მეცნიერია,
მას შენატრიან სუყველა, ახალგაზდა და ბერია.
მეორე სიტყვა ოთხ მარცვლით, მე ხუთჯერ დამიწერია,
მთელსაც კი აქავე ვამბობ, მიხვდება ნიჭიერია.

რ ე ბ უ ს ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ VIII გამოცანების ახსნა:

1) ციცინათელა. 2) კაენი. 3) საათი. 4) კიტრი. 5) სარცხი.

გეოგრაფიული ამოცანა: თამარ მეფე. მდინარეები: თეძამი, არაგვი, მტკვარი, ალაზანი, რიონი, მაშავერა, ენგური, ფოცხოვი, ერგი—ჩაი.

უჯრების ამოცანა: ამოძერა მთვარე, შუქ მომფინარე
და გაანათა მან არე მარე.
მე გთხოვ მთვარე, შენ გაანათე,
ეს დაჩაგრული პატარა მხარე.

შარადა: ჭაბუკი

რებუსი: 1) სახელოვანათ სიკვდილი ყველასგან სანატრელია. 2) ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავს.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.